

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტი

ზუბაძის სამეცნიერო ცენტრი — ისტორიული მუზეუმი



## საქართველოს ისტორიის წყაროები

61

სპეგ-2000  
შემოწმებულია



ქართული საისტორიო  
მწერლობის  
ძეგლები

VIII



«მეცნიერება»

სუმბატ ლავითის-ძე

ცხოვრებად  
და  
უწყებად  
ბატრაგონიანთა

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა,  
შენიშვნები და საძიებლები დაურთო  
გონელი არასამიამ



თბილისი  
1990

+ 9(1992)(001)

+ 9(1992) 29



63.5Гр

ბ 944

მთავარი სარედაქციო კოლეგია:

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, რ. კიკნაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, გ. ნაღარავიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარიანი-ბროსე, გ. ჯიბლაძე.

სერიისა და ტომის რედაქტორი რ. კიკნაძე

რეცენზენტები ისტორიის მეცნ. დოქტორები: შ. ბადრიძე,  
ი. ანთელავა

წიგნში წარმოდგენილია ფეოდალური ხანის ქართული ისტორიო-გრაფიის ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლის, სუმბატ დავითის-ძის (XI ს.) თხზულების კრიტიკული ტექსტი გამოკვლევით, შენიშვნებითა და საძიებლებით.

სუმბატ დავითის-ძის თხზულება — ქართული სამეფო დინასტიის, ბაგრატიონთა სავგარეულო მატთანე — ერთ-ერთი პირველხარისხოვანი წყაროა VI—XI სს. საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების (სომხეთი, ალბანეთი, ბიზანტია) ისტორიისათვის.

საქართველოს  
ისტორიის  
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიის წყაროების  
კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან. სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976.
2. აბრაამ ერევანცი. ომების ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1976.
3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ. თბ., 1977.
4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1978.
5. გ. აბრაამიშვილი. სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977.
6. ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ., 1978.
7. ტბეთის სულთა მატთანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბ., 1977.
8. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.). ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ. თბ., 1978.
9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ. თბ., 1978.
10. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1978.
11. Яков Цуртавели. Мученичество Шушаник. Перевод В. Д. Дондуа. Введение и примечания З. Н. Алексидзе. Тбилиси, 1978.
12. Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе. Тбилиси, 1979.

13. Сумбат Давитის-ძე. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тбилиси, 1979.

ქართული  
ბიბლიოთეკა

14. მუსტაფა ნაიმა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევისა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1979.

15. ზაქარია აგულეცი. დღიური. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1979.

16. ჩილდირის ეილეთის ჯაბა დავთარი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ. გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ. თბ., 1979.

17. არსენი საფარელი. განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ. თბ., 1980.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. IV. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1980.

19. ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX—XIII სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ., 1980.

21. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980.

22. Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1980.

23. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა. თბ., 1981.

24. ისქანდერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა. თბ., 1981.

25. პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1981.

26. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს

შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალისშვილმა. თბ., 1981.

27. გ. ოთხმეზური. XII—XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაბიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1981.

28. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V. ძველი ბერძნულიდან თარგმნა. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1983.

29. Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, 1982.

30. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

31. გეორგიევსკის ტრაქტატი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ. თბ., 1983.

32. ოსმალური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილიეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შეგენლიამ. თბ., 1982.

33. თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია. ტექსტი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა. თბ., 1983.

34. Источниковедческие разыскания, 1979. Тбилиси, 1984.

35. ზ. სხირტლაძე. საბერეების ფრესკული წარწერები. თბ., 1985.

36. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, I, ლეონტი მროველი. — ცხოვრება ქართველთა მეფეთა, არჩილის წამება. შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაქოშია, თბ., 1986.

37. მოვსეს კალანკატუაცი. აღვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბ., 1985.

38. დეგრაი დე ფუა საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა. თბ., 1985.

39. Жизнь Царицы Цариц Тамар. Перевод и введение В. Д. Дондуа, исследование и примечания М. М. Бердзиншвили. Тбилиси, 1985.

40. Источниковедческие разыскания, 1982. Тбилиси, 1985.

41. იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი



გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს  
 თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა. თბ., 1986.

42. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი II. ჯუანშერა. ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. შემდგენლები: ა. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაქომია, თბ., 1986.

43. Джуаншер Джуаншерияни. Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, 1986.

44. Уложение Георгия V-го Блистательного. Подготовка грузинского текста, русский перевод, введение, примечания, глоссарий, указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1988.

45. თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალისვილიმა, თბ., 1987.

46. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ. VI. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ა. ყაუხჩიშვილიმა. თბ., 1987.

47. თოვმა მეწოდეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლობისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციაშვილმა. თბ., 1987.

48. უამთაღმწერელი. ასწლოვანი მატთანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1987.

49. XIV—XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლიშვილიმა, თბ., 1988.

50. Источниковедческие разыскания, 1985. Тбилиси, 1988.

51. ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. თბ., 1988.

52. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, III. „მატიანე ქართლისა“, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაქომია, წარმოება-შია.

53. ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ (XVII—XVIII სს.). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადეს ა. ველკოვმა და ნ. შენგელიამ. თბ., 1989.

54. ომან ხერხულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილიმა. თბ., 1989.

55. ქართული წარწერების კორპუსი. ფრესკული წარწერები, I.



ატენის სიონი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ. თბ., 1989.

56. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, II. XIV—XV სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს კ. გრიგოლიამ, თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ. წარმოებაშია.

57. მ ხ ი თ ა რ ა ი რ ი ვ ა ნ ე ც ი. ქრონოგრაფიული ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბ., 1990.

58. ქართული ეპისტოლარული წყაროების კორპუსი, I. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო მ. ბერძნიშვილმა. თბ., 1989.

59. Обращение Грузии. Перевод с древнегрузинского Е. С. Такаишвили. Редакционная обработка, исследование и комментарии М. С. Чхартишвили. Тбилиси, 1989.

60. კორიდეთის საბუთები (X—XIII სს.). გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ., 1989.

## სუმბატ დავითის-ძე და მისი ისტორიული თხზულება

სუმბატ დავითის-ძე ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის იმ ეტაპისა (XI—XIII სს.), როდესაც ეროვნული ისტორიული აზროვნება, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის. მისი თხზულება, რომლის სრული სათაურია „ცხორება და უწყება ბაგრატიონიანთა, ჩუენ ქართუელთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა ივინი, ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა“ მიზნად ისახავს ბაგრატიონთა ქართული სამეფო დინასტიის წარმომავლობის გაშუქებას, მათი საქართველოში დამკვიდრებისა და ხელისუფლების სათავეში მოსვლის თარიღის გარკვევას, ამ გვარის ქართველი მმართველებისა და მეფეების ისტორიის გადმოცემას. თხრობა ბაგრატიონთა ბიბლიური წინაპრების ჩამოთვლით იწყება და 1031 წ. ამბებზე წყდება.

მიზანდასახულობითა და თხრობის ობიექტით სუმბატის თხზულება საგვარეულო მატრიანთა ჯგუფს ეკუთვნის, მაგრამ იგივე ხასიათის სხვა ქართული ძეგლებისაგან („ძეგლი ერისთავთა“, „მესხური დავითნის ქრონიკა“) მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ თავისებურებით, რომ მას, როგორც „საქართველოს სამეფო საგვარეულოს თავგადასავლის“ მომთხრობ ნაწარმოებს, საქართველოს ისტორიისათვის არა ლოკალური, არამედ „საზოგადო მნიშვნელობა ენიჭება“<sup>1</sup>.

სუმბატის თხზულების წარმოშობა უმეტესწილად იმ ეპოქის მოთხოვნილებამ განაპირობა, რომელშიც ის იწერებოდა, XI ს. მეორე ნახევრისათვის ბაგრატიონთა დინასტიის ენერგიული მოღვაწეობით, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ხელსაყრელ ნიადაგს ემყარებოდა, ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული ქართული მიწა-წყლის დიდი ნაწილი (დასავლეთი და სამხრეთი საქართველო, შიდა ქართლი) უკვე ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად შეკრული; გაერთიანების მოწინააღმდეგე როგორც საშინაო,

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თხზ., VIII, თბ., 1977, 83. 263.



ისე საგარეო ძალებთან ხანგრძლივი, ვააფთრებული ბრძოლის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი დამთავრებულია გაერთიანების მომხრეთა მარჯვებით, რაც, იმ დროისათვის, გარეგნულად, გამაერთიანებელი დინასტიის თვალისმომკრულ წარმატებათა სამოსელში იყო გახვეული და დიდების შარავანდედით მოსავდა მას; თვალსაჩინოა ბაგრატიონთა მმართველობის პერიოდში ეროვნული კულტურის წინსვლა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, რაშიც სხვადასხვა ფორმით აქტიურად მონაწილეობდნენ აღნიშნული დინასტიის ხელისუფალნი<sup>2</sup>.

XI ს. მეორე ნახევრისათვის ბაგრატიონთა დინასტია მთელი სიმძაფრით განაგრძობს ადრევე დაწყებულ ბრძოლას განცალკევებული ქართული პოლიტიკური ერთეულების (ყახეთ-პერეთის სამეფო, თბილისის საამირო, ქვემო ქართლი) ერთიან სახელმწიფოში გასაერთიანებლად, სეპარატისტ ფეოდალთა წინააღმდეგობის დასათრგუნავად, მეზობელი ქვეყნების (ბიზანტია, განძის საამირო) გამთიშველ და მტაცებლურ პოლიტიკასთან, რომელიც ქართული სახელმწიფოს მთლიანობის დაშლასა და დასუსტებას ისახავს მიზნად<sup>3</sup>. აღნიშნული ამოცანების პრაქტიკული განხორციელებისათვის ბაგრატიონთა დინასტიას, სხვათა შორის, იდეური იარაღიც სჭირდებოდა. თავიანთ პოლიტიკაში ქართველი ბაგრატიონები ჯერ კიდევ IX ს. დასაწყისიდან საკმაო წარმატებით იყენებდნენ მათი გვარის ბიბლიური მამამთავრის, დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობის ლეგენდას<sup>4</sup>. /X ს. შუა წლებისათვის უკვე შემუშავებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმად ბაგრატიონები ქართლში ხელისუფლების სათავეში დგებიან V და VI საუკუნეში<sup>5</sup>. ეს ყოველივე თანამედროვეთა თვალში ასაბუთებდა ბაგრატიონთა გვარის განსაკუთრებულობას და საყდროსობის ხანდაზმულობას, რითაც მას ვერ შეემეტოქებოდა ვერც ერთი. ქართული პოლიტიკური ერთეულის მმართველი დინასტია. ასე რომ, საკითხები თუ „სადათ მოიწივნეს“ საქართველოში ბაგრატიონები ან „რომლით უამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა“, რომლებიც პოლიტიკური

<sup>2</sup> იხ. ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II. თბ., II, თბ., 1983, გვ. 123 და შმდ.; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ., 1963; მ. ლორთქიფანიძე. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II. თბ., 1973, გვ. 153 და შმდ.

<sup>3</sup> მ. ლორთქიფანიძე. მონარქიის საგარეო პოლიტიკა. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1977, გვ. 170 და შმდ.

<sup>4</sup> ამ ლეგენდის წარმოშობის თარიღის შესახებ ვრცლად იხ. მ. ლორთქიფანიძე. ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ. — კრ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 144 და შმდ.

თვალსაზრისით ყოველთვის აქტუალური იყო, აღნიშნული ეპოქისათვის, როდესაც ქართველი ბაგრატიონები მიესწრაფვიან ისეთი პოლიტიკური ერთეულების დამორჩილებას, რომელთა მიმართ მათ მეგვიდრეობის იურიდიული უფლება არა აქვთ, განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა გამხდარიყო. ასე რომ, ბაგრატიონთა ისტორიის ამსახველი ნაწარმოების შექმნა XI ს. მეორე ნახევრის საქართველოში შემთხვევითი ფაქტი არ ყოფილა, ის განპირობებული იყო თავისი დროის პრაქტიკული მოთხოვნებით.

სუმბატ დავითის-ძემ წარმატებით გაართვა თავი დასახულ ამოცანას, — შექმნა ნაწარმოები, სადაც ოსტატურად დაიცვა ბაგრატიონთა დინასტიის პოლიტიკური ინტერესები. ბაგრატიონთა წარმომავლობის საკითხის გასაშუქებლად სუმბატმა არა მარტო უყოყმანოდ გაიზიარა და იხელმძღვანელა ამ საგვარეულოში გავრცელებული თვალსაზრისით, რომელიც გვარის წინაპრად ბიბლიურ დავით წინასწარმეტყველს მიიჩნევდა, არამედ ბიბლიის მამამთავართა გენეალოგიური სქემის საფუძველზე კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩინა დავით წინასწარმეტყველის მეშვეობით ქრისტესთან ბაგრატიონთა ნათესაობა, რითაც საბოლოოდ ჩამოყალიბებული, კანონიზებული სახე მისცა აღნიშნულ თვალსაზრისს. ამით სუმბატმა საფუძველი ჩაუყარა ქართველ ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის თეორიას, რომელმაც მომდევნო პერიოდში შემდგომი განვითარება და სრული აღიარება მოიპოვა.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხის, ბაგრატიონთა ქართლში დამკვიდრებისა და ხელისუფლების სათავეში მოსვლის დროის გასარკვევად სუმბატმა არა მხოლოდ მიიღო სახელმძღვანელოდ ბაგრატიონთა სახლში არსებული თვალსაზრისი, რომლის თანახმად მათი წინაპრების ქართლში მოსვლა V თუ VI საუკუნეში ივარაუდებოდა, არამედ ქართლის ისტორიის კონკრეტული ფაქტების ფონზე ხორცი შეასხა მას, რაც დასრულებული სახით ასე წარმოადგინა: ფილისტიმიდან (ისრაელი) ეკლესიაში მოსულ დავით წინასწარმეტყველის შთამომავლის, სოლომონ დანის ძის შვიდ ძეთაგან ოთხი მოდის ქართლში, VI საუკუნეში, უშეფობის დროს. ამ ოთხ ძმთაგან ერთ-ერთი, კერძოდ, გუარამი „განაჩინეს“ ქართლის ერისთავად. ამ გუარამით იწყება ქართლში ბაგრატიონთა დინასტიის უწყვეტი მმართველობა.

სუმბატ დავითის-ძე ერთგული დამკველია შუასაუკუნეობრივ აზროვნებაში გაბატონებული იდეისა, რომელიც სამეფო ხელისუფლებას, როგორც ღვთის ნების აღმსრულებელს, საყოველთაო სიკეთის წყაროდ სახავს, მის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ მოქმედებას კი ღვთის ვმობად და მიუტევებელ დანაშაულად განიხილავს. სუმბატი პოლიტიკური ცხოვრების იდეალს „ერთმთავრობის“ პრინციპის ხელშეუხებლობაში ხედავს, მისთვის მიუღებელია მეფის ხელისუფლების



ნაცვლად „აზნაურთა უფლება“, რაც ქვეყანაში „ბოროტთა საქმეთა“ აღმოცენებას იწვევს. მემართიანე აღნიშნავს, რომ „ვინაითგან მოაკლდა მეფობაა შვილთა გორგასლისათა, მით უამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათადმდე (ე. ი. ბაგრატიონთა მოსვლამდე გ. ა.), არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათთაგან“<sup>5</sup>.

სუმბატი თანაგრძნობით ეკიდება „ბერძენთა მეფის“, ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II-ის გამარჯვებას განდგომილ დიდებულებზე. მეამბოხეთა შორის მომხდარ გათიშვასთან დაკავშირებით მემართიანე აღნიშნავს, რომ „ღმერთმან ბასილის დიდად შეშინებულსავე პატივს-ცა, რამეთუ განუდგეს ქსიფი წარვეზს“, რამაც მეფეს გაუადვილა აჯანყებულთა დამარცხება<sup>6</sup>.

სუმბატი დაუფარავად ავლენს თავის გულისწყრომას ყველას მიმართ, განურჩევლად სოციალური ვინაობისა, ვინც რაიმე სახით ვნებას აყენებს მეფის ხელისუფლებას. ერთგან ავტორი მოგვითხრობს, რომ გიორგი მეფის განზრახვას ბიზანტიის იმპერატორთან დაზავების შესახებ მხარი არ დაუჭირეს მისმა აზნაურებმა და მეფის სურვილის საწინააღმდეგოდ ბრძოლა გაუმართეს ბიზანტიელებს. სუმბატი ვერ მალავს აღშფოთებას მეფის ქვეშევრდომთა ურჩობისა და თვითნებობის გამო და ასეთი ეპითეტით „ამკობს“ მათ: „ორკერძოვე მზაკუარნი იგი აზნაურნი“<sup>7</sup>. სხვაგან მემართიანე აღწერს ბიზანტიელთა საქართველოში შემოსევას და ქართველი მეფის დასაპირისპირებლად მათ მიერ ჩამოყვანილი ტახტის მძიებლის, დემეტრე ბაგრატიონის მხარეზე ქართველთა ერთი ნაწილის გადაბირების ამბებს. ამ დროს ტახტის უკანონო მძიებელს, დიდებულებს გარდა, დაბალი სოციალური ფენის ერთი ნაწილიც მიემხრო. ამ უკანასკნელთა ქცევით უკმაყოფილო ავტორი წერს: „მიიქცეს ერნი სოფლიონი უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა“<sup>8</sup>.

სუმბატ დავითის-ძე, როგორც ღვთისმოსავი ქრისტიანი მოაზროვნე, ერთმორწმუნე, ქრისტიან ხალხებს შორის ურთიერთობის ერთადერთ მისაღებ ფორმად თანადგომისა და მშვიდობისაკენ სწრაფვას მიიჩნევს. ის კმაყოფილებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ავარიანთა (არაბების) მიერ ქართლიდან განდევნილი ამოტ ერისმთავრის „ველმწიფების გან-

<sup>5</sup> სუმბატ დავითის-ძე. ცხორება და უწყება ბაგრატიონიანთა, წინამდებარე გამოცემა, გვ. 40.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 55.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> სუმბატ დავითის-ძე. ცხორება და უწყება ბაგრატიონიანთა (ხაზგასმა აქ და ქვემოთ ჩემია გ. ა.), გვ. 59.

ქრისტე  
მეფის  
მეფის

მტკიცება“ კლარჯეთში მოხდა „ნებითა ბერძენთა მეფისადათა“<sup>9</sup>. ტიანებს შორის მშვიდობიანობის დარღვევის გამო სუმბატი, სრულ მიუყვარებლობას, თანაბრად განსჯის როგორც საკუთარ, ისე „უცხო ნათესავს“. ეს თვალნათლივ ჩანს მემატიანის დამოკიდებულებაში საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი ფაქტისადმი. ქართველთა მეფეს, გიორგი I-ს ომი აქვს ბიზანტიის კეისართან, ბასილი II-სთან, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს საქართველოსაგან მიტაცებული ტერიტორია. ომის გარკვეულ ეტაპზე კეისარმა ქართველ მეფეს ზავი შესთავაზა. ეს უკანასკნელი, ავტორის სიტყვით, „წადიერი“ იყო ზავისა, მაგრამ აზნაურებმა არ გაიზიარეს მეფის განზრახვა და ქართველთა ლაშქრის მეწინავე რაზმმა ბრძოლა გაუმართა დაზავების მომლოდინე ბიზანტიელებს. ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. ამ დამარცხებასთან დაკავშირებით ავტორი ერთგვარი ნიშნას მოგვებით წერს: „მოიკლნეს მათგანი მას დღესა შინა, რომელთაცა-იგი მშვიდობის-ყოფად არა ინებეს“<sup>10</sup>. სუმბატის გულისწყრომა გამოწვეულია იმით, რომ ქართველებმა უარყვეს შემოთავაზებული წინადადება, რომელიც ერთმორწმუნე ბიზანტიელებთან სისხლისმღვრელი ომის შეწყვეტას ითვალისწინებდა. აი ეს არ „აპატია“ მემატიანემ ქართველ მეომრებს. თორემ სხვა დროს სუმბატი ბიზანტიელებთან მეზობელი ქართველების მიმართ ოდნავადაც არ ამჟღავნებს უარყოფით დამოკიდებულებას.

ასევე ჰკიცხავს სუმბატი ბიზანტიელებსაც ქართველ მეფესთან ომის გამო. ბიზანტიის კეისარს, კონსტანტინე VIII-ს (1025—1028), რომლის ბრძანებით იმპერიის ლაშქარი საქართველოს მიწა-წყლის დასაპყრობად იბრძოდა, მემატიანის სიტყვებით, „მსწრაფლ ეწია რისხუა უმსჯავროსა მას მეფესა კონსტანტინეს, მსგავსადვე ივლიანეს უსჯულოსა, უწყალოებისათვის ბაგრატ მეფისა ჩუენისა, მოოგრებისათვის მამულისა მისისა“<sup>11</sup>.

სუმბატის თხზულება გამსჭვალულია შუასაუკუნეობრივი აზროვნებისათვის ზოგადად დამახასიათებელი პროვიდენციალიზმითა და დულაიზმით.

\* \* \*

სუმბატის თხზულება, რომელიც ქრონოლოგიურად საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს (VI—XI სს.), ცხადია, ვერ შეიქმნებოდა სათანადო წყაროების გარეშე. ზოგი მათგანი სახელდებითაა ცნობილი,

<sup>9</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 56.

<sup>11</sup> სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, გვ. 59.

ზოგის შესახებ დღეისათვის მხოლოდ ზოგადი ხასიათის მსჯელობა შეიძლება.



მატიანის დასაწყისი, სადაც გადმოცემულია ბაგრატიონთა გენეალოგია ქართლში მოსვლამდე, რასაც ის ადამიდან იწყებს და დანის ძე სოლომონამდე მოჰყავს, ემყარება ბიბლიის ქართულ თარგმანს და ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორიას“<sup>12</sup>. აღნიშნულ თხრობას საფუძვლად უდევს, აგრეთვე, ლეგენდა ბაგრატიონთა გვარის დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობის შესახებ. რაკი მისთვის ცნობილი იყო, რომ ბაგრატიონთა ბიბლიური მამამთავარი დავით წინასწარმეტყველია, აქედან გამომდინარე, მან ჩამოთვალა ბიბლიაში დასახელებული წინაპრები და ჩამომავლები დავით წინასწარმეტყველისა, რომლის უკანასკნელი ჩამომავლის, სოლომონ დანის ძის შვილებად გამოაცხადა პირველი ბაგრატიონები.

ძირითადი წყარო სუმბატის თხზულების იმ მონაკვეთისა, სადაც გადმოცემულია ამბები გუარამ კურაპალატის გაერისთავებიდან აშოტის გახელმწიფებამდე, არის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიული ქრონიკა<sup>13</sup>.

დღეისათვის მოღწეულია „მოქცევაჲს“ ორი რედაქცია, შატბერდული (X ს. ხელნაწერი) და ჭელიშური (XIV—XV სს. ხელნაწერი)<sup>14</sup>. შედარებითი შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ სუმბატს უსარგებლად „მოქცევაჲს“ იმ რედაქციით, რომელიც საერთოა შატბერდული და ჭელიშური რედაქციებისათვის. ეს, თავის მხრივ, მოწმობს იმას, რომ სუმბატის მიერ გამოყენებული „მოქცევაჲს“ ტექსტი რედაქციულად

<sup>12</sup> ე. თაყაიშვილი. სამი ისტორიული ხრონიკა. ტფ., 1890, გვ. XIII; ე. თაყაიშვილი, შესავალი. — წიგნში: სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 27, 1949, გვ. 13; ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 196; გ. მამულია. სუმბატ დავითის-ძის ერთი წყაროს საკითხისათვის — ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971, გვ. 115—116; М. Д. Лордкипанидзе. Сумбат Давитис-дзе и его историческое сочинение. — В кн.: Сумбат Давитис-дзе, История и повествование о Багратионах, Тб., 1979, с. 19.

<sup>13</sup> ე. თაყაიშვილი. სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. IX; ე. თაყაიშვილი. შესავალი, გვ. 13; ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 196; ს. კაკაბაძე. ძიებანი ქართველთა IV—VII სს. ისტორიის შესახებ. — საისტორიო კრებული, II, ტფ., 1928, გვ. 49; პ. ინგოროყვა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. — თხზ., IV, თბ., 1978, გვ. 430; М. Д. Лордкипанидзе. Сумбат Давитис-дзе и его историческое сочинение, с. 19.

<sup>14</sup> მოქცევაჲ ქართლისაჲ. — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 81 და შმდ.



გაცილებით აღრინდელი და, ამავე დროს უფრო სრულია ვიდრე დღევანდელი სათვის ცნობილი შატბერდული და ქელიშური ტექსტები. „მოქცევაჲს აღნიშნული რედაქცია ჩამოყალიბებულია არა უგვიანეს IX ს. 80-იანი წლებისა“<sup>15</sup>.

განსახილველ მონაკვეთში, გარდა „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკისა, სუმბატს უნდა ესარგებლა სხვა მისაღებთაც. ყურადღებას იქცევს მემათიანის ცნობები საპაკის, ასამისა და ვარაზვარდის კახეთსა და კამბეჩანში დამკვიდრების შესახებ. სუმბატის მიხედვით, ეკლესიადან ქართლში მოვიდა ოთხი ძმა, მათ შორის, ერთი, გუარამი ქართლს დიდ ერისთავად „განაჩინეს“, მეორე საპაკი „წარვიდა კახეთს და დაემზახა“ ნერსეს, ბაკურის ძეს; ასამ და ვარაზვარდ „წარვიდეს კამბეჩანს, და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა ბაპარ ჩუბინისსა, და ვეზან მოკლეს და დაიპყრეს მათ კამბეჩანი“. ამის შემდეგ „დასხდეს იგინი მუნ ცხორებად ხორნაბუჯს. და ამა ყამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა“<sup>16</sup>. ეს ამბები მოთხრობილია თხზულების იმ მონაკვეთში, რომელიც ძირითადად „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკის მიხედვითაა დაწერილი, მაგრამ საპაკის, ასამისა და ვარაზვარდის შესახებ აღნიშნულ ისტორიულ ქრონიკაში არაფერია ნათქვამი. მაშასადამე, ამ პიროვნებათა შესახებ მსჯელობისას სუმბატს ცალკე წყარო ჰქონდა ხელთ.

აღნიშნულ მონაკვეთში სუმბატის ერთ-ერთი წყარო უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, გადმოცემა ბაგრატიონთა გვარის ეპონიმის შესახებ. მემათიანის თანახმად, რაქაელ დედოფალმა ფილისტიმიდან ეკლესია მოსულ შვიდ ძმათაგან სამს „უცვალა სახელი, რამეთუ ერთსა სახელს დვა მუშელ, და ერთსა ბაგრატ, რომელ არს მამა ბაგრატიონიანთაჲ, ერთსა აბგავარ“<sup>17</sup>. აქ აშკარად ჩანს გამოძახილი აღნიშნული გვარის ტრადიციული ეტიმოლოგიისა, რომლის მიხედვით, გვარის სახელწოდება ბაგრატ სახელიდან მომდინარეობს<sup>18</sup>.

სუმბატის თხზულების ის ნაწილი, სადაც გადმოცემულია ამბები აშოტ I დიდის (786—826) დროიდან ბაგრატ III-ის გარდაცვალებამდე (1014 წ.), როგორც ფიქრობენ, შედგენილია ძირითადად, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულო ქრონიკების და სამეფო კარზე და-

<sup>15</sup> ვრცლად იხ. გ. არახაძისა. ძველი ქართული საგვარეულო მათიანეები, თბ., 1988, გვ. 14—18.  
<sup>16</sup> სუმბატ დავითის-ძე. ცხორება და უწყება ბაგრატიონიანთა, გვ. 40.  
<sup>17</sup> სუმბატ დავითის-ძე. ცხორება და უწყება ბაგრატიონიანთა, გვ. 41.  
<sup>18</sup> იხ. История епископа Себеоса. Перевод С. Малхасянца. Ереван, 1939, с. 6—7; მოესეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბღალაძემ, თბ., 1984, გვ. 102.





ცული დოკუმენტების საფუძველზე<sup>19</sup>. აქვე გამოყენებული ჩანს, აგრეთვე, ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების წარწერები<sup>20</sup>. მოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად, სუმბატის ერთ-ერთი წყარო გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (X ს.) იყო<sup>21</sup>.

დიდი ხანია საკამათოდაა ქცეული სუმბატის მათიანის ბოლო მონაკვეთის წყაროს საკითხი. ეს მონაკვეთი, რომელიც 1021—1031 წწ. ისტორიას მოგვითხრობს, ტექსტობრივად ძალიან ახლოსაა „მატიანე ქართლისას“ (შედგენილია 1072—1073 წწ.) იმავე პერიოდის ამსახველ ნაწილთან<sup>22</sup>. ასეთი ვითარება ი. ჯავახიშვილმა ახსნა იმით, რომ ორივე თხზულების ავტორებს აღნიშნული პერიოდის ამბების გადმოსაცემად საერთო წყაროთი უსარგებლიათ<sup>23</sup>. მკვლევარს ამ თვალსაზრისის დასაბუთება კონკრეტული მასალით არ მოუცია. შემდგომში ზემოთ ნახსენები მონაკვეთების ტექსტობრივ მსგავსებათა მიზეზების ახსნასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში საკითხი დაისვა ასეთი ალტერნატივის სახით: ან სუმბატმა გამოიყენა „მატიანე ქართლისას“ ტექსტი ან, პირიქით, „მატიანე ქართლისას“ ავტორმა ისარგებლა სუმბატის თხზულებით. კვლევის ამ მიმართულებით გამოიკვეთა ორი საპირისპირო თვალსაზრისი. პირველი თვალსაზრისი, რომლის თანახმად, სუმბატის წყაროა „მატიანე ქართლისას“, სათანადო დასაბუთებით წარმოადგინა კ. გრიგოლიამ<sup>24</sup>. ეს მოსაზრება გაიზიარეს და ახალი არგუმენტებით გაამაგრეს ს. ყაუხჩიშვილმა<sup>25</sup> და გ. ალასანიამ<sup>26</sup>.

მეორე თვალსაზრისი, რომლის მიხედვით სუმბატის თხზულება არის

<sup>19</sup> დ. კარიჭაშვილი. ვინ უნდა იყვეს „სუმბატის ქრონიკის“ ავტორი? — ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, I, ტფილისი, 1909, გვ. 40; ე. თაყაიშვილი. შესავალი, გვ. 15; ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 196; პ. ინგოროყვა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, გვ. 430.

<sup>20</sup> ე. თაყაიშვილი, შესავალი, გვ. 15.

<sup>21</sup> პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 45.


<sup>22</sup> შლრ.: სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, გვ. 54<sup>გ</sup>—60; მათიანე ქართლისა. — ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, გვ. 284<sup>გ</sup>—294<sup>გ</sup>.

<sup>23</sup> ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 206.

<sup>24</sup> კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება. თბ., 1954, გვ. 233 და შმდ.

<sup>25</sup> ს. ყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრების ძველთა წყაროების საკითხისათვის. — წიგნში: ქართლის ცხოვრება, I, გვ. 034—039.

<sup>26</sup> გ. ალასანია. რიცხვი და მისტიკა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში. — ბაცნე ისტორიის სერია, 1984, № 4, გვ. 36—37; Г. Г. Аласания. Классификация грузинских письменных исторических источников, с. 172—173.



„მატიანე ქართლისას“ წყარო, ეკუთვნის გ. გელაშვილს<sup>27</sup>. ამ შეხედულებას იზიარებენ მ. ლორთქიფანიძე<sup>28</sup> და, ერთგვარი დამკვიდრებით, გ. წულაია<sup>29</sup>.

ბოლო ხანებში საკითხს შეეხო შ. ბადრიძე: მისი დაკვირვებით, მართებულია ი. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ სუმბატი და „მატიანე ქართლისას“ ავტორი ტექსტობრივად დამოკიდებულნი არიან საერთო წყაროსაგან<sup>30</sup>.

სუმბატის თხზულებისა და „მატიანე ქართლისას“ შესაბამისი მონაკვეთების ტექსტობრივი შედარება ცხადყოფს იმას, რომ სუმბატის თხზულებაში დასტურდება რამდენიმე ისეთი დეტალი, რომელიც „მატიანე ქართლისასში“ არა გვაქვს. ამავე დროს „მატიანე ქართლისას“ თხრობაც შეიცავს ზოგიერთ ისეთ დეტალს, რომელიც სუმბატის ტექსტში არ გვხვდება. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ აღნიშნული თხზულებები უშუალოდ ერთმანეთისაგან დამოკიდებულნი არ არიან. მათ შორის არსებული ტექსტობრივი მსგავსება და ამასთანავე განსხვავებანი დეტალებში ადასტურებს იმ მკვლევართა (ი. ჯავახიშვილი, შ. ბადრიძე) მოსაზრებას, რომლის თანახმად სუმბატი და „მატიანე ქართლისას“ ავტორი ერთი და იგივე წყაროთი სარგებლობდნენ. საერთო წყაროს ტექსტიდან ზოგი რამ სუმბატმა გამოტოვა, ზოგი რამ — „მატიანე ქართლისას“ ავტორმა, რის გამოც თითოეულს ერთმანეთისაგან განსხვავებული ზედმეტი ფაქტები აღმოაჩნდა<sup>31</sup>.

ამრიგად, სუმბატის თხზულების ბოლო მონაკვეთი, სადაც მოთხრობილია 1021—1031 წწ. ამბები, მთლიანად ემყარება დღეისათვის უცნობ წერილობით წყაროს. ეს გარემოება მიუღებელს ხდის მოსაზრებას, რომ თხზულების აღნიშნული მონაკვეთის ამბებს სუმბატი, როგორც თვითმხილველი, საკუთარი მეხსიერების საფუძველზე აღწერს<sup>32</sup>.

<sup>27</sup> გ. გელაშვილი. სუმბატ დავითის-ძე და მათიანე ქართლისა. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 87, 1960, გვ. 239—255.

<sup>28</sup> М. Д. Лордкипанидзе. Сумбат Давитис-дзе и его историческое сочинение, с. 19.

<sup>29</sup> Г. В. Цулая. Введение. — В кн.: Летопись Картли, Тб., 1982, с. 29.

<sup>30</sup> Ш. А. Бадридзе. «Картлис цховреба» о грузино-византийских взаимоотношениях первой трети XI в. — В кн.: Источниковедческие исследования, 1979. — Тб., 1984, с. 51—52.

<sup>31</sup> ვრცლად იხ. გ. არახაძე. ძველი ქართული საგვარეულო მათიანეები, გვ. 26—27.

<sup>32</sup> დ. კარიჭაშვილი. ვინ უნდა იყოს სუმბატის ქრონიკის ავტორი? გვ. 40; ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 196; პ. ინგოროყვა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, გვ. 431; გ. გელაშვილი. სუმბატ დავითის ძე და „მატიანე ქართლისას“, გვ. 248.

\* \* \*

სუმბატის ვინაობისა და მოღვაწეობის დროის შესახებ პირდაპირი ცნობები არა გვაქვს. აღნიშნულ საკითხებზე გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. დ. ბაქრაძის აზრით, თხზულების ავტორი და იმავე თხზულებაში მოხსენიებული სუმბატ დავით მამფალის ძე (გარდაიცვალა 988 წ.) ერთი და იგივე პირია. მკვლევრის აზრით, აღნიშნულ სუმბატს აღუწერია ამბები 988 წლამდე, თხზულების დანარჩენი ნაწილი უცნობ ავტორს ეკუთვნის<sup>33</sup>. თ. ჟორდანიას თხზულების ავტორს აიგივებს ათონის აღაპებში მოხსენიებულ სუმბატ კურაპალატთან (გარდაიცვალა 922 წ.), რომელსაც, მისი აზრით, დაუწერია თხზულების ის მონაკვეთი, სადაც გადმოცემულია ამბები 922 წლამდე, შემდგომი ნაწილი კი ათონის აღაპებში დასახელებულ გურგენს, სუმბატ კურაპალატის ძეს<sup>34</sup>.

დ. კარიჭაშვილის აზრით, თხზულება მთლიანად ეკუთვნის სუმბატ დავითის-ძეს, რომელიც გარდაიცვალა 1032 წ. სუმბატი ეკუთვნოდა მეფის ახლობელ ნათესავთა წრეს, რაზედაც მიუთითებს ის, რომ თხზულების შედგენისას მას გამოყენებული აქვს სამეფო საგვარეულოს დოკუმენტები, რომლებიც ხელმისაწვდომი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სამეფო ოჯახთან დაახლოებული პიროვნებისათვის<sup>35</sup>.

აქედან გამომდინარე, მკვლევარს სუმბატ დავითის-ძე ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლად მიიჩნია. აღნიშნული ორიენტირებას (სუმბატის გარდაცვალების თარიღი და გვარი) საფუძველზე დ. კარიჭაშვილი განაგრძობს ბაგრატიონთა საგვარეულოში იმ დავითის ძიებას, რომლის შვილი შეიძლებოდა ყოფილიყო XI ს. პირველ მესამედში მცხოვრები პიროვნების მამა. ასეთად მკვლევარმა მიიჩნია დავით აღარნასეს ძე, რომელიც, სუმბატის თხზულების მიხედვით, მამის, აღარნასეს გარდაცვალების (983 წ.) დროს მცირეწლოვანი ყოფილა<sup>36</sup>. ამ დავითს, დ. კარიჭაშვილის აზრით, შეიძლებოდა ჰყოლოდა შვილი, სახელით სუმბატი, რომელსაც უნდა ემოღვაწნა XI ს. პირველ ნახევარში. ვინაიდან სუმბატი თავის თხზულებაში ასახელებს დავითის დაბადების წელს და არ უჩვენებს გარდაცვალების თარიღს, მკვლევარა ფიქრობს, რომ სუმბატი მამის გარდაცვალებას არ მოსწრებია<sup>37</sup>. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „როდესაც მკვლევარმა დანამდვილებით არ იცის, ჰყავდა თუ არა დასახელებულ

<sup>33</sup> დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი. ტფილისი, გვ. 55.

<sup>34</sup> თ. ჟორდანიას. ქრონიკები, I, ტფილისი, 1892, გვ. 149, სქ. 9.

<sup>35</sup> დ. კარიჭაშვილი. ვინ უნდა იყოს სუმბატის ქრონიკის ავტორი? გვ. 40—41.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 41; სუმბატ დავითის ძე, გვ. 52.

<sup>37</sup> დ. კარიჭაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.



პირს (დავით აღარნასეს ძეს — გ. ა.) შვილი, რა ფასი აქვს ცარიელ შესაძლებლობას? ვიდრე თვით სუმბატის არსებობის შესახებ უფრო ცნობები არ გვექნება, ამგვარ სათუო საბუთებით, რასაკვირველია, საკითხს ვერ გამოვარკვევთ<sup>38</sup>.

ე. თაყაიშვილი, რომელიც სუმბატს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა წარმომადგენლად მიიჩნევს<sup>39</sup>, მთლიანად იზიარებს დ. კარიჭაშვილის ვარაუდს<sup>40</sup>.

გ. გელაშვილის ჰიპოთეზით, სუმბატი უნდა იყოს იმ დავითის ძე, რომელიც თხზულების მიხედვით, 994 წ. გარდაიცვალა<sup>41</sup>.

გ. მჭედლიძე, რომელიც ეყარება კ. გრიგოლიასა და ს. ყაუხჩი-შვილის თვალსაზრისს სუმბატის მიერ „მატიანე ქართლისას“ (1072/73 წ.) ტექსტით სარგებლობის შესახებ, სუმბატის თხზულებას XI ს. ბოლო მეოთხედით ათარიღებს<sup>42</sup>.

სუმბატის თხზულების დათარიღება იმ წლით, რომელზედაც თხრობა წყდება, ჩვენი აზრით, დამაჯერებელი არ არის. მართალია, თხზულების დღეისათვის ცნობილი ტექსტი 1031 წლის ამბებზე თხრობით მთავრდება, მაგრამ ნაწარმოების თავდაპირველი ტექსტი უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ თხზულების ბოლო წინადადება დასრულებული არ არის. ტექსტის დასასრულს აღნიშნულია, რომ ბაგრატ IV-ის დედა, მარიამ დედოფალი „წარვიდა კონსტანტინეპოლად წინაშე რომანოზ მეფისა ვედრებად მისსა, რათა მშუდობა ყოს აღმოსავლეთისათვის... და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თვისსა ბაგრატ მეფესა წესისაებრ სახლისა“<sup>43</sup>. წინადადებიდან არ ჩანს, მარიამ დედოფალი „წესისაებრ“ ვისი „სახლისა“ ითხოვდა პატივს. ცხადია, თავდაპირველ ტექსტში ეს აღნიშნული იქნებოდა („მატიანე ქართლისას“ შესაბამისი თხრობის მიხედვით ჩანს, რომ საუბარია ბაგრატიონთა სახლზე)<sup>44</sup>. აღნიშნული წინადადების დაუსრულებლობა თუნდაც დღეისათვის ცნობილი ხელნაწერების ნაკლულევანებით აიხსნას, დამოუკიდებელი ნაწარმოების ასეთი მოულოდნელი დამთავრება მაინც გაუგებარი რჩება. წარმოუდგენელია, ნებისმიერმა ავტორმა ნა-

<sup>38</sup> ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ტფილისი, გვ. 135, შენ. 1.

<sup>39</sup> ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ზრონიკა, გვ. CVIII—CIX.

<sup>40</sup> ე. თაყაიშვილი. შესავალი, გვ. 11—12.

<sup>41</sup> გ. გელაშვილი. სუმბატ დავითის-ძე და მატიანე ქართლისა, გვ. 245—246; სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, გვ. 52.

<sup>42</sup> Г. А. Мчедлидзе. Хронология в древнегрузинской исторической литературе V—XIV вв. Автореферат канд. диссертации, Тб., 1963. с. 18.

<sup>43</sup> სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, გვ. 60.

<sup>44</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 294.

წარმოები იმგვარად დაასრულოს, როგორც სუმბატის თხზულების დღეისათვის ცნობილი ტექსტი მთავრდება. ავტორმა, რომელმაც მათ მოტანილი ბოლო სტრიქონები დაწერა, ამ დროს უკვე იცის, თუ რა შედეგები მოჰყვა მარიამ დედოფლის მისიას, ე. ი. მომსწრეა მისი კონსტანტინეპოლიდან დაბრუნებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია, რომ მას ასე დაწვრილებით სცოდნოდა აღნიშნული მისიის მიზნები. ასეთი რამ, როგორც წესი, ხდება post factum. ასე რომ, სუმბატი თუნდაც მათიანის ბოლოს აღწერილი, 1031 წლის ამბების თანამედროვე ყოფილიყო, მისი თხზულების დათარიღება იმ წლით, რომელი წლის ამბებზეც თხრობა წყდება, მაინც გაუმართლებელია. სავსებით ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ თხზულებას დასასრული აკლია. როგორც ჩანს, ტექსტი ნაკლები სახით ყოფილა შეტანილი „ქართლის ცხოვრების“ კრებულში, ვინაიდან კრებულის ყველა ნუსხაში ის ერთი და იგივე მოცულობითაა წარმოდგენილი.

სუმბატის თხზულების დათარიღების საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი გარემოება. თხზულების ბოლო მონაკვეთი უკანასკნელ წინადადებად, როგორც ზემოთ ვნახეთ, წერილობით წყაროს ემყარება, რაც ბუნებრივად დასავამს კითხვას: თუ სუმბატი თხზულების ბოლოში აღწერილი ამბების თანამედროვე და თვითმხილველია, გაუგებარია რატომ დასჭირდა მას მისი თანადროული ამბების აღწერაში წერილობითი წყარო? ხომ შეეძლო მას, როგორც თვითმხილველს, თანადროული ვითარება წერილობითი წყაროს გამოუყენებლად უშუალოდ ცოცხალი სინამდვილიდან აღეწერა? თუ სუმბატი იმავე წელს გარდაიცვალა, რომელი წლის ამბებზეც წყდება მისი თხზულების ტექსტი, მაშინ გამოდის, რომ სუმბატის წყარო და სუმბატის თხზულება ერთდროულად იწერებოდა, უკეთეს შემთხვევაში, თხზულება, სადაც გადმოცემული იყო 1021—1031 წლების ამბები, დამთავრებისთანავე, „ცხელ კვალზე“ მოიძია და წყაროდ გამოიყენა სუმბატმა. ასეთ გაურკვეველობამდე და ნაძალადევ დასკვნებამდე მივყავართ სუმბატის მიჩნევას მისი თხზულების ბოლო გვერდებზე აღწერილი ამბების თვითმხილველად.

ის ფაქტი, რომ სუმბატი თავისი თხზულების ბოლო მონაკვეთს წერილობითი წყაროს მიხედვით წერს, მოწმობს იმას, რომ ის თხზულებაში მოთხრობილი უკანასკნელი ეპიზოდის თარიღს საკმაოდ დროითაა დაშორებული. აქედან გამომდინარე, სუმბატის მიჩნევა საკუთრივ თხზულებაში დასახელებული რომელიმე დავით ბაგრატიონის შვილად, სარწმუნო არაა.

თხზულებაში ორგან გვხვდება ავტორისეული შენიშვნა, რომლებსაც, მართალია, არაპირდაპირი სახით, მაგრამ მაინც დამათარიღებელი მნიშვნელობა აქვთ. ავტორი გვაუწყებს, რომ ფილისტიმიდან ეკლესიში

მოსული შვიდი ძმიდან ორი სომხეთში დამკვიდრდა „და მუნ დღემდე დელად დღემდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს“<sup>45</sup>. სხვაგვარად ცემატიაზე ასამისა და ვარაზვარდის კამბეჩიანში გაბატონებას მოგვითხრობს, აღნიშნავს, რომ „დასწდეს იგინი მუნ ცხორებად ხორნაბუჯს, და ამ უამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა“<sup>46</sup>. ამ სტრუქტურების დამწერი, როგორც ვხედავთ, მოღვაწეობს იმ ხანაში, როდესაც სომხეთში ბაგრატიუნების დინასტია ბატონობს, აგრეთვე, კამბეჩიანის ცენტრში, ხორნაბუჯში ბაგრატიონები მთავრობენ. ხორნაბუჯში ბაგრატიონთა გამგებლობის შესახებ მითითება, გარდა სუმბატის თხზულებისა, სხვაგან არ დასტურდება. ამიტომ ხორნაბუჯის გამგებელთა შესახებ ცოდნის დღევანდელ ეტაპზე სუმბატის სათანადო ცნობა მისი თხზულების დათარიღებაზე მსჯელობის საშუალებას არ იძლევა. რაც შეეხება შენიშვნას სომეხ ბაგრატიუნთა შესახებ, აქ საქმე სხვაგვარადაა. სომხეთში ბაგრატიუნთა დინასტია რამდენიმე სამეფო-სამთავროში გამგებლობდა. ტარონის სამთავროში ბაგრატიუნთა ხელისუფლება გაუქმდა 966 წ., ანისის ანუ შირაკის სამეფოში — 1045 წ., ყარსის ანუ ვანანდის სამეფოში — 1064 წ.<sup>47</sup>. ასე რომ, 1064 წ. შემდგომ ხანაში გამორიცხულია ვინმეს ეთქვას, რომ ბაგრატიუნები სომხეთში „დღემდე დელად დღემდე მთავრობენ“.

ამრიგად, სუმბატის თხზულების შედგენის ზედა ზღვარი 1064 წლით უნდა განისაზღვროს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სუმბატი 1031 წლის ამბებს უშუალოდ არ მოსწრებია და მათს შესახებ არა საკუთარი მეხსიერების, არამედ წერილობითი წყაროს საფუძველზე მსჯელობს, მაშინ მისი თხზულება შეიძლება მიახლოებით XI ს. 50-იანი და 60-იანი წლების პირველი ნახევრით დათარიღდეს.

\* \* \*

სუმბატის თხზულება ისტორიოგრაფიაში, სავსებით სამართლიანად, შეფასებულია, როგორც უაღრესად სანდო ინფორმაციის შემცველი წყარო, რომელიც სხვა ღირსებებთან ერთად, გამოირჩევა ქრონოლოგიური ცნობების სიუხვითა და, რაც მთავარია, სიზუსტით<sup>48</sup>.

მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ სანდოობის თვალსაზრისით სუმბატის თხზულება თავიდან ბოლომდე თანაბარი ღირსების არ არის.

ბაგრატიონთა გენეალოგიის ბიბლიური სქემა, აგრეთვე, შვიდი

<sup>45</sup> სუმბატ დავითის-ძე. ცხორება და უწყება ბაგრატიონიანთა, გვ. 40.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 40.

<sup>47</sup> ვრცლად იხ. К. Н. Юзбашян. Армянские государство эпохи Багратидов и Византия IX—XI вв. М., 1988, с. 117 и др.

<sup>48</sup> ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 196.

ქმის თავგადასავლის აღწერა, რითაც იწყებს თბრობას მემატიანე ცხადია, ყოველგვარ რეალობას მოკლებულია, მაგრამ ამ შეთხზულ ფაქტებით აგებულ მსჯელობაში არეკლილია ისტორიული სინამდვილეც, კერძოდ, ქართველი და სომეხი ბაგრატიდების საერთო წარმომავლობა<sup>49</sup> და მათი საერთო წინაპრების თავდაპირველი სამკვიდროს ადგილ-მდებარეობა<sup>50</sup>.

საგანგებო ყურადღებას იქცევს სუმბატის ცნობები VI—VIII სს. ქართლის ერისმთავართა სახლისშვილობის შესახებ. მემატიანის თვალსაზრისით, პირველი ბაგრატიონი, რომელიც ქართლში ხელისუფლებას ეუფლება, არის გუარამ კურაპალატი. აქედან მოკიდებული ამოტ დიდამდე ქართლის ყველა ერისმთავარი გუარამის ჩამომავალი და, ამდენად, ბაგრატიონია. აღნიშნული ამბების თბრობისას, როგორც ზემოთ ითქვა, სუმბატის ერთადერთი წყაროა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიული ქრონიკა. მას თითქმის სიტყვასიტყვით გადმოაქვს ყველაფერი, რაც კი წერია აღნიშნულ ქრონიკაში გუარამ კურაპალატისა და მისი მომდევნო ერისმთავრების შესახებ. მაგრამ სუმბატის ისტორიულ-გენეალოგიური კონცეფცია ძირფესვიანად განსხვავდება „მოქცევაჲს“ მონაცემებისაგან. ეს კონცეფცია ასახულია იმ ცვლილებებში, რაც „მოქცევაჲს“ ტექსტმა სუმბატის ხელში განიცადა. „მოქცევაჲში“ აღნიშნული არაა გუარამ კურაპალატის მამისშვილობა<sup>51</sup>. სუმბატი იმეორებს ყველაფერს, რაც მის წყაროში ნათქვამია გუარამის შესახებ და, ამავე დროს, მის წარმომავლობაზე გვაწვდის სავსებით ორიგინალურ ცნობებს, რომელთა თანახმად ბიბლიური სოლომონ დანის ძის შვილები, შვიდი ძმა „მოიწივნეს ეკლესს წინაშე რაქაელ დედოფლისა და მისგან ნათელ ილეს“<sup>52</sup>; სამი მათგანი ეკლესა და სომხეთში დამკვიდრდა, დანარჩენი ოთხი ძმა მოვიდა ქართლში; ერთი მათგანი ყოფილა გუარამი, რომელიც ქართლის ერისთავად „განაჩინეს“; „ქართლისა ბაგრატიონიანნი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი“<sup>53</sup>. ამის შემდეგ სუმბატი იმეორებს „მოქცევაჲს“ თბრობას გუარამის შესახებ, მაგრამ სუმბატის გუარამი წარმომავლობითა და გვარიშვილობით უკვე აღარაა „მოქცევაჲს“ გუარამი.

„მოქცევაჲს“ მიხედვით არ ჩანს სტეფანოზ გუარამის ძის შემდგომი

<sup>49</sup> საკითხის შესახებ ვრცლად იხ. პ. ი. გ. ო. რ. ო. ყ. ვ. ა. გიორგი მერჩულე, გვ. 87—99.

<sup>50</sup> იხ. ს. ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსა-ცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე. — შრომები, II, თბ., 1952, გვ. 75.

<sup>51</sup> მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 95.

<sup>52</sup> სუმბატ და ვითისძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, გვ. 40.

<sup>53</sup> იქვე.



დიდი ერისთავის აღარნასეს მამის შვილობა<sup>54</sup>. სუმბატი კი ამ აღარნასეს მისი წინამორბედი დიდი ერისთავის, სტეფანოზ I-ის ძედადგენს<sup>55</sup>. „მოქცევაჲს“ ტექსტში აღნიშნული არაა სტეფანოზ II-ის მომდევნო გუარამ II კურაპალატის მამის შვილობა<sup>56</sup>. სუმბატის მიხედვით, გუარამ II სტეფანოზ II-ის ძეა<sup>57</sup>. ესაა ცვლილებები, რაც „მოქცევაჲს“ თხრობამ განიცადა სუმბატის თხზულებაში.

საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება რეალურ სინამდვილეს სუმბატის ზემოთ განხილული ორიგინალური ცნობები აშოტ დიდის წინამორბედი ქართლის ერისმთავრების ბაგრატიონობის შესახებ, სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ჩვენ, უპირატესად, საკითხის წყაროთმცოდნეობითი ასპექტით შემოვიფარგლებით.

უწინარეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია სუმბატის აღნიშნული ცნობების სხვა წყაროების პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაცემებთან შედარების შედეგები. უძველესი წყარო, სადაც გუარამ კურაპალატი იხსენიება, არის ზემოთ ხსენებული „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკა, სადაც, მართალია, გუარამის გენეალოგიაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ, რაკი დასახელებული ქრონიკის შემდგენელი სპეციალურად არ აღნიშნავს მის ჩამომავლობას, საფიქრებელია, რომ ის (გუარამი) ქართლის ძველი დინასტიის წარმომადგენლადაა ნაგულისხმევი. „ის რომ ბაგრატიონად ჰყავდეს ნაგულისხმევი „მოქცევაჲს“, ამას უთუოდ იტყოდა“, აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი<sup>58</sup>.

გუარამ კურაპალატის შესახებ ცნობებს გვაწვდის, აგრეთვე, „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანე, „მეფეთა ცხოვრება“, რომელიც მოიცავს ამბებს უძველესი დროიდან აშოტ დიდამდე<sup>59</sup>.

„მეფეთა ცხოვრების“ ავტორი, ისე როგორც სუმბატი, გუარამ კურაპალატისა და მომდევნო რამდენიმე ერისმთავრის შესახებ თხრობისას სარგებლობს „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკით, მაგრამ ამ

<sup>54</sup> მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 95.

<sup>55</sup> სუმბატ და ვითის-ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, გვ. 43.

<sup>56</sup> მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 97.

<sup>57</sup> სუმბატ და ვითის-ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, გვ. 44.

<sup>58</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, გვ. 112.

<sup>59</sup> აღნიშნული მატიანის მოცულობის შესახებ იხ. ა. ზოგვერაძე. „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანე და მისი ავტორი. — ქართული ისტორიოგრაფია, I, თბ., 1968, გვ. 8—36; გ. არახიანი. „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანის მოცულობის საკითხისათვის. — მაცნე, ისტორიის სერია, 1987, 2, გვ. 59—76. კრებულის აღნიშნული მონაკვეთი, ი. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული სქემის მიხედვით, შეიცავს ლეონტი მროველისა და ჭვანჭერის თხზულებებს, აგრეთვე, „მატიანე ქართლისას“ ნაწილს (იხ. ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 176—194, 198—209; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 1, 72, 139, 245, 249).





უკანასკნელისაგან განსხვავებით, იძლევა კონკრეტულ გენეალოგიურ ცნობებს. აღნიშნული ავტორის მიხედვით, გუარამი არის ვახტანგ გორგასლის უმცროსი ძის, მირდატის ძისწული<sup>60</sup>. მისი მომდევნო ერისმთავრები და მეფეებიც ვახტანგ გორგასლის შთამომავლები არიან<sup>61</sup>. იმავე ავტორის ცნობით, პირველი ბაგრატიონი, ვინც ქართლში პოლიტიკური ხელისუფლების სათავეში მოექცა, აშოტი იყო<sup>62</sup>.

გიორგი მერჩულის (X ს.) თხზულების მიხედვით, როგორც ეს სათანადო ცნობების ანალიზის საფუძველზე უჩვენა ნ. ბერძენიშვილმა, ბაგრატიონთა „მთავრობაჲ ქართველთა ზედა“ აღნიშნული აშოტიდან მოდის, მისი წინამორბედი ქართლის ერისმთავრები ბაგრატიონები არ არიან<sup>63</sup>.

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში (XVIII ს.) გუარამ კურაპალატის შესახებ ნათქვამია შემდეგი: „ხოლო ესე გუარამ იყო დედით ხოსროიანი და მამით პაკრატოანი. და ესე ბაგრატიონიანი შეილისშვილნი და ნათესავნი არიან ამა გუარამისნი“<sup>64</sup>. ვახტანგისეული რედაქციის „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც ცნობილია, სუმბატის თხზულების ტექსტი ნაწილ-ნაწილ შერწყმულია ძველი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში დაცული „მეფეთა ცხოვრებისა“ და „მატიანე ქართლისას“ ტექსტებში<sup>65</sup>. „სწავლულ კაცთა“ კომისიამ ძველი „ქართლის ცხოვრების“ მცხეთური რედაქციის ცნობა, რომლის თანახმად გუარამი იყო დისწული მირდატისი, ვახტანგ გორგასლის ძისა და სუმბატის ცნობა გუარამის ბაგრატიონობის შესახებ ერთმანეთთან კავშირში გაიაზრა. რახან გუარამი მირდატის დისწულია, მაშასადამე, ის დედის ხაზით ხოსროიანია (ასე იწოდება „ქართლის ცხოვრებაში“ პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის (IV ს.) შთამომავლობა), ხოლო რაკი სუმბატის მიხედვით ის ბაგრატიონია, მაშინ მირდატის დის ქმარი, გუარამის მამა ბაგრატიონი ყოფილა — ასეთი დასკვნა გამოიტანა აღნიშნულმა კომისიამ. როგორც ვხედავთ, განსახილველი ცნობა რაიმე ახალ ფაქტებს არ ემყარება. თუ გავითვალისწინებთ

<sup>60</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 218; ზოგიერთ ნუსხაში წერია „დისწული“, ზოგში — „მისწული“. მითითებულ გამოცემაში შეტანილია „დისწული“. სწორი ფორმა „მისწული“ (იხ. გ. არახაძე ი. ა. „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი. — მაცნე, ისტორიის სერია, № 1, 1989, გვ. 146—149).

<sup>61</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 222, 225, 228, 232, 244.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 252.

<sup>63</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, გვ. 114—115.

<sup>64</sup> ქართლის ცხოვრება, ნაწ. I, მ. ბროსეს გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1849, გვ. 161.

<sup>65</sup> იხ. კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 235—239.



იმას, რომ მცხეთური რედაქციის ნუსხათა ჩვენება „დისწული“<sup>66</sup>, როგორც ზემოთ ითქვა, შეცდომაა, მაშინ ყოველგვარი საფუძველზეა გუარამის ხოსროიანობას დედის ხაზით. რაც შეეხება მის ბაგრატიონობას, ეს კომისიის მიერ სუმბატის ცნობის გამეორებაა მხოლოდ.

ახალი „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული ცნობები, თავის მხრივ, საფუძველად დაედო ვახუშტი ბაგრატიონის თვალსაზრისს გუარამ კურაპალატის გენეალოგიის შესახებ<sup>66</sup>. ასე რომ, „სწავლულ კაცთა“ კომისია და ვახუშტი სუმბატის ჩვენთვის საინტერესო ცნობების საზღვრის შესამოწმებლად არაფერს იძლევა, რადგანაც ისინი თვითონ ამოდიან სუმბატის თხზულებიდან.

რაც შეეხება დღეისათვის ცნობილ სხვა წყაროებს, როგორიცაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და „მეფეთა ცხოვრება“, ისინი ერთხმად უარყოფენ სუმბატის თვალსაზრისს გუარამ კურაპალატისა და მომდევნო ერისმთავრების (აშოტ დიდამდე) ბაგრატიონობის შესახებ.

ყურადღებას იქცევს სუმბატის თხზულებაში არსებული არალოგიკურობა, რაც ქართველ ბაგრატიონთა გვარის დამფუძნებლის სახელსა და გვარის სახელს შორის შეუსაბამობაში ჩანს. როგორც ე. თაყაიშვილი შენიშნავს, თუ ქართლის ბაგრატიონები გუარამისაგან მომდინარეობენ, მაშინ ამ დინასტიის სახელი გუარამიანი უნდა ყოფილიყო და არა ბაგრატიონი<sup>67</sup>. ეს შეუსაბამობა „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ კიდევ უფრო გაღრმავდა იმით, რომ სუმბატის მიერ ებრაელ სოლომონ დანის ძის ერთ-ერთი მემკვიდრედ მიჩნეული გუარამის მამა ბაგრატიონად გამოცხადდა. ამ ლოგიკურ წინააღმდეგობათა დაძლევა სცადა ვახუშტიმ, მაგრამ მის მიერ შედგენილი სქემა, როგორც ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, აშკარად ხელოვნურია<sup>68</sup>.

ამრიგად, როგორც საკონტროლოდ მოხმობილ წყაროთა მონაცემებს, ისე საკუთრივ თხზულებაში არსებულ ლოგიკურ შეუსაბამობას მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ სუმბატის ცნობები VI—VIII სს. ქართლის ერისმთავართა ბაგრატიონობის შესახებ არ ასახავს ფაქტობრივ ვითარებას.

<sup>66</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. — ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყუბჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 118—121; ე. თაყაიშვილი. შესავალი, გვ. 14—15.

<sup>67</sup> ე. თაყაიშვილი. შესავალი გვ. 14; აღსანიშნავია, რომ სუმბატი სომეხ ბაგრატიონთა მამამთავრად მიიჩნევს გუარამის ერთ-ერთ ძმას, რომელსაც, ეკლესიაში რაქაელ დედოფალმა სახელი უცვალა და ბაგრატ დაარქვა. რამდენადაც ბაგრატი და გუარამი ძმები არიან და არა მამა-შვილი, შეუძლებელია იმის დაშვება, რომ სუმბატს ქართლის ბაგრატიონთა დამფუძნებლადაც ეს ბაგრატი ეგულისხმა.

<sup>68</sup> ე. თაყაიშვილი. შესავალი, გვ. 14—15.

აღნიშნულ ცნობათა არარეალურობა, არსებითად, განპირობებულია იმ პრობლემებით, რომელთა გააზრებასაც სუმბატი ისახავდა მიზნად. მისი ძირითადი ამოცანა, როგორც ითქვა, იყო გაშუქება იმისა, ბაგრატიონები „სადით მოიწივნეს ამას ქუეყანასა... ანუ რომლით უამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა“. პირველი საკითხი, „თუ სადით მოიწივნეს“ ბაგრატიონები ქართლში, სუმბატმა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ბაგრატიონთა ბიბლიური წარმოშობის ლეგენდის საფუძველზე გადაწყვიტა. მეორე ძირითადი საკითხის (თუ „რომლით უამითგან უპყრიეს“ ბაგრატიონებს ხელისუფლება ქართლში) გაშუქების დროს სუმბატს ბაგრატიონთა საგვარეულოში შემუშავებული თვალსაზრისით უნდა ეხელმძღვანელა. აღნიშნული თვალსაზრისი წერილობით ფიქსირებულია X ს. შუა წლებისათვის. ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში ნათქვამია, რომ ბაგრატიონების იერუსალიმიდან წამოსვლისა და ქართლში დამკვიდრების დროიდან დღემდე (ივლისხმება 952 წ.) ოთხასი ან ხუთასი წელია გასული<sup>69</sup>. ეს შეხედულება, ცხადია, თავდაპირველად საქართველოში, ბაგრატიონთა საგვარეულოში შემუშავდა და აქედან შეაღწია კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში საქართველო-ბიზანტიის მჭიდრო პოლიტიკურა და კულტურული კავშირების წყალობით.

როგორც ვხედავთ, X ს. შუა ხანებისათვის ბაგრატიონებს თავიანთი წინაპრების ქართლში დამკვიდრების ფაქტი შორეული წარსულის კუთვნილებად მიაჩნიათ და V—VI საუკუნეებით ათარიღებენ (როგორც ჩანს, აღნიშნული ფაქტის კონკრეტული თარიღი ამ დროისათვის ჯერ კიდევ დაუზუსტებელია). სუმბატისათვის ერთგვარი გზამკვლევის მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ შეხედულებას, შემუშავებულს იმ საგვარეულოში, რომლის ისტორიასაც ის წერდა. სუმბატის ამოცანად რჩებოდა ბაგრატიონთა წინაპრების ქართლში დამკვიდრებისა და პოლიტიკური აღზევების დროის შესახებ ოფიციალური თვალსაზრისის ილუსტრირება ქართლის ისტორიის კონკრეტული მასალით. საამისოდ სუმბატს, ბუნებრივია, ქართლის ისტორიის ამსახველი ნაწარმოებები უნდა მოეძია. IX საუკუნემდელი ქართლის ისტორიის გასაცნობად სუმბატს ერთადერთი თხზულება, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ჰქონია. იქნებ ეს ფაქტი შემთხვევითი არ იყოს და სუმბატმა გარკვეული მოსაზრებით მისთვის ხელმისაწვდომი სხვა ძეგლებიდან მხოლოდ „მოქცევაჲ“ შეარჩია. ასეა თუ ისე, ხელმძღვანელობდა რა ბაგრატიონთა ზემოთ აღნიშნული ოფიციალური თვალსაზრისით, სუმბატი შეუდგა ბაგრატიონთა შო-

<sup>69</sup> კონსტანტინე პორფიროგენეტი. De administrando imperio, — გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV<sub>2</sub>, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952, გვ. 259—260.

რეული წინაპრის ძიებას „მოქცევას“ ისტორიულ ქრონიკაში ჩამო-  
თვლილ V—VI საუკუნეების ქართლის პოლიტიკურ ხელისუფალთა  
რის. ამ მოსაზრებით „მოქცევას“ ისტორიული ქრონიკის ტექსტის  
„ჩხრეკისას“ მასში დასახელებულ V—VI სს. ქართლის ხელისუფალთაგან  
პირველ ბაგრატიონად მიჩნევისათვის ყველაზე მეტ „საცთურს“ გუარამ  
კურაპალატის პიროვნება ქმნის. ამ თვალსაზრისით „მოქცევას“ თხრო-  
ბაში ყურადღებას იქცევს ორი გარემოება: ა) გუარამ კურაპალატის შე-  
სახებ თხრობის დაწყებამდე საუბარია ბაკურის მეფობის ამბებზე; აქ,  
სხვათა შორის, ნათქვამია: „ამის ბაკურის ზევე დაესრულა მეფობაჲ  
ქართლისაჲ“<sup>70</sup>. ბ) ამის შემდეგ აღწერილია ქართლში სპარსთა გაბა-  
ტონება. ასეთ ვითარებაში „ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს  
ერისთავად გუარამ და მერმე კურაპალადცა“<sup>71</sup>. ბაკურის ზეობით  
ქართლში მეფობის დასასრული შეიძლება და აღქმულიყო როგორც  
დინასტიის დასასრული. ეს გარემოება სუმბატს ხელსაყრელ საფუ-  
ძველს უქმნიდა იმისათვის, რომ ბაკურის ზეობის შემდგომ ხელისუფ-  
ლების სათავეში ახალი დინასტიის მოსვლა ერწმუნა. რაკი სუმბატის  
მიერ ძველი დინასტიის აღსასრულად გაგებული „მეფობის დასრულე-  
ბის“ შემდგომ ერისთავად „განჩენილი“ გუარამ კურაპალატის მამის-  
შვილობაზე „მოქცევას“ ტექსტში არაფერია ნათქვამი, ხელს არაფერი  
უშლიდა იმას, რომ აღნიშნული გუარამი, როგორც „მეფობის“ შემ-  
დგომი ქართლის პირველი ხელისუფალი ახალი, ბაგრატიონთა დინას-  
ტიის პირველ წარმომადგენლადაც ყოფილიყო მიჩნეული. ვფიქრობთ,  
აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობეს ის, რომ სუმბატმა V—VI სს  
ქართლის პოლიტიკურ ხელისუფალთა შორის პირველი ბაგრატიონის  
ძიებისას ყურადღება შეაჩერა გუარამ კურაპალატზე და არა სხვაზე.

რადგანაც სუმბატმა პირველი ბაგრატიონი გუარამ კურაპალატში  
დაინახა, აქედან მისთვის ბუნებრივად გამომდინარეობდა დასკვნა, რომ  
„მოქცევამში“ ჩამოთვლილი გუარამ კურაპალატის შემდგომი დიდი  
ერისთავები აშოტ ბაგრატიონამდე გუარამის პირდაპირი ჩამომავლები  
და, ამდენად, ბაგრატიონები არიან. ასე გაავლო მან უშუალო ჩამომავ-  
ლობითი ხაზი გუარამ კურაპალატსა და აშოტ ბაგრატიონს შორის.  
ამით სუმბატმა ქართლის ისტორიის კონკრეტული ფაქტების ფონზე  
საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მისცა ბაგრატიონთა საგვარეულო-  
ში შემუშავებულ თვალსაზრისს მათი წინაპრების ქართლში დამკვიდ-  
რებისა და აღზევების დროის შესახებ.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ისიც, რომ აშოტ დიდის წინა-  
მორბედი ქართლის ერისმთავრების ბაგრატიონობის შესახებ სუმბატის  
თვალსაზრისი შემუშავებულია პოლიტიკური მოტივით.

<sup>70</sup> მოქცევა ქართლისაჲ, გვ. 94.

<sup>71</sup> იქვე, გვ. 94—95.



ამრიგად, მართებული ჩანს ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრება, რომლის თანახმად გუარამ კურაპალატი და მომდევნო ქართველებისმთავრები (აშოტ დიდამდე) არ ეკუთვნიან ბაგრატიონთა დინასტიას<sup>72</sup>. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სავსებით მიუღებელია „მეფეთა ცხოვრებისა“ და XIII ს. სომეხი ავტორის, ვარდანის ცნობებზე დამყარებული ვარაუდი, რომლის მიხედვით ქართლის ერისმთავართა შორის პირველი ბაგრატიონის, აშოტ დიდის მამა, ადარნასე უნდა ყოფილიყო სომხური სამთავროს, ტარონის მმართველი ბაგრატიუნების წარმომადგენელი<sup>73</sup>. „მეფეთა ცხოვრებისა“ და ვარდანის ცნობების კრიტიკული ანალიზი ასეთი დასკვნის საშუალებას არ იძლევა. ეს საკითხი სავანგებო მსჯელობას მოითხოვს, რისი შესაძლებლობა აქ არა მაქვს. მხოლოდ მოკლედ გადმოვცემ ჩემს თვალსაზრისს, რომლის დასაბუთების ცდა მოცემული მაქვს სხვა ნაშრომში: ა) „მეფეთა ცხოვრებაში“ მოხსენიებული ადარნასე ბაგრატიონიანის მამა, რომელიც მურვან-ყრუს კავკასიაში ლაშქრობების დროს (VIII ს. 30-იანი წწ.) „შთასულ იყო... კლარჯეთს“<sup>74</sup>, ამ მხარეში მოვიდა ბაგრატიონთა გვარის თავდაპირველი სამკვიდროდან, სახელდობრ, ჭოროხის ხეობაში მდებარე ძველქართული სპერის თემიდან; ბ) ადარნასეს მამა ბიზანტიის ხელისუფალთა მიერ „დადგინებულ იყო“ ეთნიკური და კულტურული თვალსაზრისით ქართული თემის, სპერის გამგებლად; გ) ადარნასე დედის ხაზით ენათესავებოდა ტარონის ბაგრატიუნებს.

თხზულების განსახილველ მონაკვეთში დაცულია ცნობები საპაკის, ასამისა და ვარაზგარდის შესახებ. მემატიანის მიხედვით, ისინი გუარამის ძმები არიან და მასთან ერთად ეკლესიიდან ქართლში მოვიდნენ, „ხოლო ძმა მისი, სახელით საპაკ წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი

<sup>72</sup> იხ. ე. თაყაიშვილი. შესავალი, გვ. 14—15, 35—38; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, გვ. 108—114; გ. მამულია. არჩილ „მეფის“ (VIII ს.) რეფორმის გენეზისი და მისი პოლიტიკური ტენდენცია. — ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 117—124. ისტორიოგრაფიაში არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ სუმბატის აღნიშნული ცნობები სარწმუნოა (იხ. მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია, I, გვ. 249 და შმდ.; პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 78; ნ. ლომოური, კონსტანტინე პორფიროგენეტის ერთი ცნობის გარკვევისათვის. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 59, გვ. 135—145; გ. აბრამიშვილი. სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977, გვ. 46 და შმდ.).

<sup>73</sup> ე. თაყაიშვილი. შესავალი, გვ. 36—37; C. Toumanoff. Studies in Christian Caucasian History. Georgetown University Press, 1963, გვ. 337—354, 492; გ. მამულია. არჩილ „მეფის“ (VIII ს.) რეფორმის გენეზისი... გვ. 118—119; მისივე. კლასობრივი სოციალიზმისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 138—143; K. H. Юзбашян. Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX—XI вв., с. 131.

<sup>74</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243.

ნერსეს. და სხუანი ორნი იგი ძმა ამათნი, სახელით ასამ და ვარაზვარდ-  
წარვიდეს კამბეჩანს და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს  
კამბეჩანი და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს და ამ უამამდე  
შვილნი მათი მთავრობენ მას შინა“<sup>75</sup>. ცოტა ქვემოთ მემატიაზე კვლავ  
უბრუნდება ამ ამბებს და წერს: „ხოლო სამი ესე ძმანი წარვიდეს კა-  
ხეთს და საპაჲ დაემზახა ბაკურის ძესა ნერსეს. და ასამ და ვარაზვარდ-  
წარვიდეს კამბეჩანს და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა ბაპარ-  
ჩუბინისსა და ვეზან მოჰკლეს და დაიპყრეს მათ კამბეჩანი“<sup>76</sup>.

სუმბატის მიხედვით, საპაჲ დამკვიდრდა კახეთში, დაესიძა ნერსე  
ბაკურის ძეს. ეს უკანასკნელი შეიძლება გავაიგივოთ იმ ადარნასე ბა-  
კურის ძესთან, რომელიც, „მეფეთა ცხოვრების“ ცნობებით, თავდაპირ-  
ველად კახეთში ერისთავობდა<sup>77</sup>, VII ს. დამდეგს, დაახლოებით 604—  
616 წწ. ქართლის ერისმთავარი იყო, შემდგომ 627 წლამდე (ბიზანტიის  
კეისრის, ირაკლის ქართლში ლაშქრობამდე) კვლავ კახეთის ერისთავო-  
ბას უბრუნდება<sup>78</sup>. მისი სახელი სომხურ წყაროებში, კერძოდ, „ეპის-  
ტოლეთა წიგნსა“<sup>79</sup> და უხტანესის თხზულებაში<sup>80</sup> იხსენიება ფორმით  
ატრნერსე, „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ნუსხაში კი ადარნასე<sup>81</sup>.

ასე რომ, თუ აღნიშნული იდენტიფიკაცია სინამდვილეს ასახავს,  
საპაჲ კახეთში უნდა დამკვიდრებულიყო ან 604 წლამდე ან 616—  
627 წწ. შორის, როდესაც ნერსე თუ ადარნესე || ადარნასე კახეთის  
ერისთავი იყო.

ასამს და ვარაზვარდს, როგორც სუმბატი გვაუწყებს, მოუკლავთ  
სპარსთა სპასალარი, ბაპარ ჩუბინის ერისთავი, ვეზანი. ეს უკანასკნელი  
სამეცნიერო ლიტერატურაში გაიგივებულია „ეესტათი მცხეთელის-  
მარტილობაში“ (VI ს.) მოხსენიებულ ქართლის მარზპან ვეჟან ბუზ-

<sup>75</sup> სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრება და უწყებაჲ ბაგრატიონიანთა, გვ. 40.

<sup>76</sup> სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატიონიანთა, გვ. 41.

<sup>77</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 217—225; რ. კიკნაძე. ფარსადან გორგი-  
ჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ. — საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდ-  
ნეობის საკითხები. თბ., 1982, გვ. 40.

<sup>78</sup> ზ. ალექსიძე. კირონ ქართლის კათალიკოსი. — ეპისტოლეთა წიგნი. თბ.,  
1968, გვ. 251, სქ. 188.

<sup>79</sup> ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა-  
და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, გვ. 35, 40, 72.

<sup>80</sup> უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომხეთაგან, სომხური  
ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ. თბ., 1975,  
გვ. 75, 77, 149, 153, 161.

<sup>81</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 225, მე-2 სტრიქონის კითხვა-სხვაობები; გვ. 226,  
მე-6 სტრიქონის კითხვასხვაობები; გვ. 228, მე-3 სტრიქონის კითხვასხვაობები.

მიპროტან<sup>82</sup>, რომელსაც ეს თანამდებობა 542—545 წწ. ეკავა<sup>83</sup>. ფიქრობენ, რომ ვეზანი ქართლის მარზპანობამდე ხორნაბუჯში იჯდა და შემდგომ კვლავ იქ დაბრუნდა<sup>84</sup>. რაც შეეხება ბაპარ ჩუბინს, ის VI ს. ირანის ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნებაა<sup>85</sup>. სუმბატის მიხედვით, ვეზანი ბაპარ ჩუბინის ერთსავე ყოფილა. რამდენადაც, ვეზანი, სუმბატისავე ცნობით, „სპარსთა სპასალარია“, ამდენად ბაპარ ჩუბინი მისი ზემდგომი ირანელი მოხელე გამოდის.

ზოგიერთი წყაროს ცნობით, ბაპარ ჩუბინი VI ს. 70—80-იან წწ. კავკასიაში ირანის შაჰის მოადგილე, აზერბაიჯანისა და სომხეთის მარზპანი იყო<sup>86</sup>. სხვა წყაროების მიხედვით, ის კავკასიაში ირანის მოხელე არ ყოფილა<sup>87</sup>. ვ. გოილაძის მოსაზრებით, სუმბატს თუ მისი წყაროს ავტორს ბაპარ ჩუბინად მიუჩნევია მისი მამა, ბაპარ გუშნასპი, რომელიც როგორც ირანის მოხელე, მართლაც, განაგებდა კავკასიას VI ს. 50-იან წლებში<sup>88</sup>.

როგორც ვხედავთ, სუმბატის თხზულებაში მოხსენიებული ნერსე ბაკურის ძის, ვეზან ბუზშირისა და ბაპარ ჩუბინის მოღვაწეობის ბევრი დეტალი დღეისათვის ჯერ კიდევ გაურკვეველია, რის გამოც აღნიშნულ პიროვნებათა მიხედვით სუმბატის განსახილველი ცნობების რეალურობის ხარისხის ზედმიწევნით განსაზღვრა ვერ ხერხდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ამ ცნობებში ისტორიული სინამდვილის ანარეკლი არ დავინახოთ. სახელდობრ, ასამ და ვარაზვარდის მიერ

<sup>82</sup> მარტვილობა და მოთმინება წმიდისა ეგისტათი მცხეთელისაჲ. — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 34; მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია, I, ტფ., 1906, გვ. 254—256; ვ. გოილაძე. VI საუკუნეში ქართლის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დათარიღებისათვის. — მაცნე, ისტორიის სერია, № 1, 1979, გვ. 120—121.

<sup>83</sup> ვ. გოილაძე. ფირან გუშნასპის მარტვილობის ცნობათა მნიშვნელობა V—VI სს. საქართველოს ისტორიისათვის. — მაცნე, ისტორიის სერია, № 2, 1978, გვ. 94—95.

<sup>84</sup> ვ. გოილაძე. VI საუკუნეში ქართლის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დათარიღებისათვის, გვ. 121.

<sup>85</sup> ბაპარ ჩუბინის შესახებ იხ. Н. В. Пигулевская. Византия и Иран на рубеже VI и VII веков, М., 1946, с. 80—113; Л. Н. Гумилев. Война 589 года и гератская битва. — Известия АН Таджикской ССР, 2 (23), 1960; Л. Н. Гумилев. Бахрам Чубин (опыт критики источников). — Проблемы Востоковедения, 3, 1960; Подвиг Бахрама Чубины. Подбор и перевод источников, вступительная статья и комментарии Л. Н. Гумилева, Л., 1962.

<sup>86</sup> Подвиг Бахрама Чубины, с. 21; Русский перевод арабского текста из «Книги длинных известий» Абу Ханифы ад-Динавари. — Палестинский сборник, 22 (85), с. 116.

<sup>87</sup> იხ. ვ. გოილაძე. VI საუკუნეში ქართლის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დათარიღებისათვის, გვ. 117—119.

<sup>88</sup> იქვე, გვ. 119—120.

ზორნაბუჯში მკდომი ირანელი მოხელის, ვეხანის მოკვლა შეთქმულთა ბის გზით („გარდაუქცევს ერი ვეხანს...“), და კამბეჩანის მხარეში ბატონება; საჰაკის დანათესალება კახეთის ერისთავთან, ნერსე (სანდო-ნესე II ადარნასე) ბაკურის ძესთან. ეს ამბები ზემოთაღნიშნული რეა-ლიების გათვალისწინებით, შეიძლება, ზოგადად, VI ს. მეორე ნახევრით და VII ს. პირველი ნახევრით დათარიღდეს.

მემატიანის მითითება, რომ საჰაკ, ასამ და ვარაზვარდ გუარამ კურაპალატის ძმები იყვნენ, არ დასტურდება. რაც შეეხება მათს გვარ-შვილობას, შესაძლოა ისინი მართლაც ბაგრატიონები იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ამის უარსაყოფი საბუთი არ მოიპოვება. დასაშვებია ჩანს ასეთი ვარაუდი: ცნობები ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლების, საჰაკის, ასამისა და ვარაზვარდის კახეთსა და კამბეჩანში დამკვიდრების შესახებ სუმბატმა ამოკრიბა წერილობითი წყაროდან, რაც შეეხება აღნიშნული პირების მიჩნევას გუარამ კურაპალატის ძმებად, ეს სუმბატის ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს. რაკი მემატიანემ „მოქცევაჲს“ გუარამ კურაპალატი ბაგრატიონად წარმოიდგინა, ამის შემდეგ მისთვის ადვილი იყო სხვა წყაროში დასახელებული ბაგრატიონების (საჰაკ, ასამ და ვარაზვარდ) გუარამის სახლის შვილებად გამოცხადება.

რაც შეეხება თხზულების განსახილველ მონაკვეთში დაცულ ცნობებს, რომლებიც უშუალოდ „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკის ტექსტიდანაა გადმოღებული, მათზე მთლიანად ვრცელდება წყაროს როგორც ღირსება, ისე ნაკლოვანება. შესაბამისად სუმბატის თხზულების აღნიშნული ცნობების წყაროთმცოდნეობითი ღირებულება ემთხვევა „მოქცევაჲს“ ისტორიული ქრონიკისას, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში შეფასებულია როგორც ძირითადად სანდო ინფორმაციის შემცველი წყარო<sup>89</sup>.

სუმბატის თხზულების უმეტესი ნაწილი, დაწყებული აშოტ დიდის შესახებ თხრობიდან, ზედმიწევნით სანდო მასალას შეიცავს, რასაც თვალნათლივ მოწმობს ამ უკანასკნელისა და სხვა ქართული თუ უცხო-ენოვანი წყაროების შედარებითი შესწავლის შედეგები<sup>90</sup>.

<sup>89</sup> ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 116; მ. ლორთქიფანიძე. ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1966, გვ. 118—129. გ. მელიქიშვილი. საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 47—50; შ. მესხია. ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროების მოკლე მიმოხილვა. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 27—28; მ. ჩხარტიშვილი. ქართული ისტორიული აზროვნების განვითარების ისტორიიდან („მოქცევაჲ ქართლისაჲ“). — მაცნე. ისტორიის სერია, № 3, 1985, გვ. 124—130.

<sup>90</sup> იხ. ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა გვ. 196—197; ე. თაყაიშვილი. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გენეალოგიის II ტაბუ-



სუმბატის თხზულება დამოუკიდებელი სახით არ შემონახულა. ას დაცულია ძველი ქართული მატრიანების კრებულში, „ქართლის ცხოვრებაში“. კრებულის ძველი ნუსხებიდან სუმბატის თხზულება შეტანილია მხოლოდ ე. წ. „მცხეთური“ რედაქციის ნუსხებში. ესენია: მარიამისეული (M), 1697 წლის (Q) და მაჩაბლისეული (m). ახალ „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის ხელიდან გამოვიდა, სუმბატის თხზულების ტექსტი ნაწილ-ნაწილ შერწყმულია VI—XI სს. ისტორიის ამსახველ მონაკვეთში<sup>91</sup>.

სუმბატის თხზულება ძველი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში მოსდევს დავით აღმაშენებლის (1089—1125) ისტორიას, რითაც დარღვეულია კრებულის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი — თხრობის კომპოზიციური მთლიანობა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. მთელ კრებულში ეს ერთადერთი გამოჩვეულებაა, რაც, ცხადია, შემთხვევითობით არ აიხსნება. საქმე ისაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ პირველ მატრიანეში განვითარებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ბაგრატიონების ქართლში დამკვიდრება მოხდა VIII საუკუნეში ფარნავაზიანი მეფის არჩილის დროს, ქართლის პირველი ხელისუფალი ამ საგვარეულოდან აშოტ დიდი იყო. ეს თვალსაზრისი ბაგრატიონთა საგვარეულოსათვის მიუღებელი იყო თუ უფრო ადრე არა, X ს. შუა ხანებისათვის მაინც. სუმბატის თხზულება, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება აღნიშნულ თვალსაზრისს, ოფიციალურად აკანონებს მმართველი დინასტიის შეხედულებას. ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული მისი შეტანა „ქართლის ცხოვრების“ კრებულში.

სუმბატის თხზულება მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხის აღმოჩენის (1884 წ.) შემდეგ. თხზულების ტექსტი ცალკე სახით აღნიშნული ნუსხის მიხედვით პირველად გამოქვეყნდა 1890 წ. ე. თაყაიშვილის მიერ<sup>92</sup>. მანვე განახორციელა „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხის დიპლომატიკური გამოცემა, სადაც წარმოდგენილია სუმბატის თხზულებაც<sup>93</sup>.

ლის შენიშვნები. — წიგნში: სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გვ. 74—89. თ. ლომოური. სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულეს ცნობები IX—X სს. ქართველ ბაგრატიონთა შესახებ. — კრ. არილი, ტფ., 1925, გვ. 47—56; ს. ჯანაშია. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. — შრომები, V, თბ., 1987, გვ. 246—266.

<sup>91</sup> კ. გ რ ი გ ლ ი ა. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 235—239.  
<sup>92</sup> ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. სამი ისტორიული ხრონიკა, ტფ., 1890, გვ. 41—79.  
<sup>93</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1906, გვ. 336—361.



ორივე გამოცემის სქოლიოებში მოტანილია ვახტანგისეული რედაქციის კითხვასწავობანი მ. ბროსეს მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრებისა“ და თეიმურაზისეული ნუსხის მიხედვით. ე. თაყაიშვილს ეკუთვნის, აგრეთვე, თხზულების მესამე გამოცემა, რომელსაც, როგორც წინა გამოცემებს, საფუძვლად დაედო მარიამისეული ნუსხა, ხოლო რამდენიმე სიტყვისა თუ ფრაზის აღსადგენად გამოყენებულია თეიმურაზისეული ნუსხა, სქოლიოებში წარმოდგენილია მაჩაბლისეული ნუსხის წაკითხვები<sup>94</sup>. თხზულება „ქართლის ცხოვრების“ შემადგენლობაში გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა 1955 წ. ტექსტი დადგენილია როგორც ვახტანგამდელი, ისე ვახტანგისეული რედაქციის ყველა ძირითადი ნუსხის მიხედვით<sup>95</sup>.

სუმბატის თხზულების ტექსტი რუსულ ენაზე პირველად თარგმნა ე. თაყაიშვილმა<sup>96</sup>. მეორედ მ. ლორთქიფანიძემ<sup>97</sup>, თხზულების ნაწყვეტი თარგმნილია სომხურ ენაზეც<sup>98</sup>.

წინამდებარე გამოცემის საფუძვლად აღებულია სუმბატის თხზულების შემცველი ძველი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები, მარიამისეული<sup>99</sup>, რომელიც გადაწერილია 1634—1645 წწ.<sup>100</sup>, 1697 წლის<sup>101</sup> და მაჩაბლისეული<sup>102</sup>, რომელიც გადაწერილია 1731 წ.<sup>103</sup>. აღნიშნული ნუსხები ერთი არქეტიპიდან მომდინარეობენ, ამიტომ მათში ფაქტობრივად თხზულების ერთი და იგივე ტექსტია წარმოდგენილი. მაგრამ

<sup>94</sup> სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გვ. 57—69.

<sup>95</sup> სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა. — ქართლის ცხოვრება, I, გვ. 372—386.

<sup>96</sup> Е. Такайшвили. Источники грузинских летописей. Три хроники. — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, XVIII. Тифлис, 1900, с. 117 и др.

<sup>97</sup> Сумбат Давитис-дзе. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тб., 1979.

<sup>98</sup> *ბ. შხერვაშიძე-ჩხიკ. ძროსე აკრძიღუნსერ ჯაქრე მასიზნ, I, ტრხლან, 1934, გვ. 136—138.*

<sup>99</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S — 30.

<sup>100</sup> კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 114—116.

<sup>101</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q — 1219. იხ. აგრეთვე, ა. კლიმაიშვილი. „ქართლის ცხოვრების“ ერთი ახალი ნუსხა 1697 წლის (წინასწარი ცნობა). — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIV, № 3, 1960, გვ. 371—375.

<sup>102</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H — 2135.

<sup>103</sup> კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 116—117.



Q ნუსხა მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში დამახინჯებული ზოგიერთი სიტყვის სწორ წაკითხვას იძლევა. თხზულების აღნიშნულ ნუსხებში წარმოდგენილი ტექსტის ნაკლული და დამახინჯებული ადგილების შესავსებად და აღსადგენად გამოყენებულია ახალი „ქართლ.ს ცხოვრების“ ზოგიერთი ნუსხა, უპირატესად, თეიმურაზისეული (T)<sup>104</sup>, რომელიც გადაწერილია XVIII ს. პირველ მეოთხედში<sup>105</sup>. ამ ნუსხაში, განსხვავებით ვახტანგისეული რედაქციის სხვა ნუსხებისაგან, სუმბატის თხზულების ტექსტის შერწყმა „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის შესაბამის ტექსტთან ბოლომდე განხორციელებული არ არის. მასში ხელუხლებლად შენარჩუნებულია სუმბატის თხზულების მონრდილი ფრაგმენტი<sup>106</sup>. გარდა ამისა, დაცულია ზოგიერთი ისეთი ფრაზა თუ სიტყვა, რომელიც არა გვაქვს არც ძველი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში, არც ახალი „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნუსხებში.

თეიმურაზისეული ნუსხა ტექსტის დასადგენად ნაწილობრივ გამოყენებული აქვს ე. თაყაიშვილს თხზულების 1949 წლის გამოცემაში, შედარებით სრულად ს. ყაუხჩიშვილს.

ახალი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებიდან წინამდებარე პუბლიკაციაში გამოყენებულია, აგრეთვე, რუმინანცევისეული (R)<sup>107</sup>, რომელიც გადაწერილია 1703 წლამდე<sup>108</sup> და ფალავანდიშვილისეული (P)<sup>109</sup>, გადაწერილი XVIII ს. 60-იან წლებში<sup>110</sup>. აღნიშნულ ნუსხებში დაცულია სწორი წაკითხვა თხზულების ტექსტის ზოგიერთი სიტყვისა, რომელიც დამახინჯებული სახითაა წარმოდგენილი ყველა სხვა ნუსხაში.

თხზულების ტექსტის ნაკლული ადგილების შესავსებად, დამახინჯებული სიტყვების გასასწორებლად ან სწორი ვარიანტის შესარჩევად ზოგჯერ მივმართავთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და „მატიანე ქართლისას“ ტექსტებს, როგორც დამხმარე წყაროებს.

წინამდებარე გამოცემაში გათვალისწინებულია მკვლევრების ე. თაყაიშვილის, ი. ჯავახიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, რ. კიკნაძის, მ. ლორთქიფანიძის კონიექტურები და ტექსტობრივი დაკვირვებები.

<sup>104</sup> Ленинградское отделение Института востоковедения АН СССР, М-24 (გსარგებლობად ხელნაწერის ფოტოპირით).

<sup>105</sup> კ. გ რ ი გ ო ლ ი ა. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 155 და შმდ.

<sup>106</sup> იხ. ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს-ძ ე. ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატიონიანთა, გვ. 47<sup>13</sup>—52<sup>21</sup>.

<sup>107</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H — 2080.

<sup>108</sup> კ. გ რ ი გ ო ლ ი ა. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 129.

<sup>109</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H — 988.

<sup>110</sup> კ. გ რ ი გ ო ლ ი ა. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 183.

ტექსტის სქოლიოებში წარმოდგენილია ძირითადად ძველი „ქართ-  
ლის ცხოვრების“ ნუსხათა (MQm) კითხვასხვაობები, ახალი „ქართლის  
ცხოვრების“ ხელნაწერებიდან მოტანილია მხოლოდ ის წაკითხვები,  
რომლებიც ავსებენ ან ასწორებენ MQm ნუსხათა ნაკლებობას ან  
დამახინჯებას. ასეთ წაკითხვებს შეიცავენ RTP ნუსხები. რაც შეეხება  
ახალი „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული და სხვა ნუსხების მცდარ  
წაკითხვებს ან ისეთ კითხვასხვაობებს, რომლებიც ემთხვევიან MQm  
ნუსხათაგან ერთ-ერთის ჩვენებას მაინც, ისინი სქოლიოებში არაა შე-  
ტანილი, რადგან ასეთი კითხვასხვაობები არაფერს იძლევა ტექსტის  
შინაარსის გასაგებად და სქოლიოებსაც ზედმეტად ტვირთავს.

პუბლიკაციისათვის დართულ შენიშვნებში მოცემულია ამა თუ ამ  
გასწორებისა თუ აღდგენის დასაბუთება, კონკრეტული მასალის საფუ-  
ძველზე წარმოდგენილია ტექსტის დადგენის ისტორია მისი პირველი  
გამოცემიდან დღემდე.

ტექსტში გამოყენებულია შემდეგი პირობითი ნიშნები:

[ ] — აღდგენილი ადგილები;

| — ხელნაწერის გვერდის დასასრული;

+ — დამატებული ასო ან სიტყვა;

— — დაკლებული ასო ან სიტყვა;

] — ტექსტის ეს ადგილი ამა თუ იმ ხელნაწერში წარმოდგენილია  
შემდეგნაირად.

ცხოვრებამ და უწყებამ გაბრატონიანთა,  
ჩვენ ქართველთა მეუფეთასა, თუ სადათ  
მონიჭივნეს ამას ქუყყანასა იბინი, ანუ  
როგლით შამითგან უყყრიუს მათ მეურობა  
ქართლისა, როგელი აღწერა სუგბატ  
ქეგან დავითისგან

ბ 111a      სადამ შვა სეით. სეით შვა ენოს. ენოს შვა კაინან.
   
 კაინან შვა მალელ. მალელ შვა იარედ. იარედ შვა ენოქ.
   
 ენოქ შვა მათუსალა. მათუსალა შვა ლამექ. ლამექ შვა
   
 ნოე. ნოე შვა სემ. სემ შვა არფაქსად. არფაქსად შვა კაი-
   
 ნან. კაინან შვა სალა. სალა შვა ებერ. ებერ შვა ფალეგ. 5
   
 M 568      ფ | ალეგ შვა რაგავ. რაგავ შვა სერუქ. სერუქ შვა ნაქორ.
   
 m 374      ნაქორ შვა თარა. თარა შვა აბრაჰამ. | აბრაჰამ შვა ისაკ.
   
 ისაკ შვა იაკობ. იაკობ შვა იუდა. იუდა შვა ფარეზ. ფა-
   
 რეზ შვა ესრომ. ესრომ შვა არამ. არამ შვა ამინადაზ.
   
 ამინადაზ შვა ნასონ. ნასონ შვა სალმონ. სალმონ შვა 10
   
 ბოს. ბოს შვა იობედ. იობედ შვა იესე. იესე შვა
   
 დავით მეფე. დავით მეფემან შვა სოლომონ. სოლომონ
   
 შვა რობუამ. რობუამ შვა აბია. აბია შვა ასაფ. ასაფ შვა
   
 იოსაფატ. იოსაფატ შვა იორამ. იორამ შვა ოზია. ოზია
   
 შვა იოთამ. იოთამ შვა აქაზ. აქაზ შვა ეზეკია. ეზეკია 15
   
 შვა მანასე. მანასე შვა ამონ. ამონ შვა იოსია. იოსია შვა
   
 იოვაკიმ. იოვაკიმ შვა იექონია. იექონია შვა სალათაელ.
   
 სალათაელ შვა ზორაბაბელ. ზორაბაბელ შვა აბიუდ. აბი-
   
 უდ შვა ელიაკიმ. ელიაკიმ შვა აზორ. აზორ შვა სადუკ.
   
 სადუკ შვა აქიმ. აქიმ შვა ელიუდ. ელიუდ შვა ელიაზარ. 20
   
 ელიაზარ შვა მატათან. მატათან შვა იაკობ. იაკობ შვა
   
 იოსებ, ქმარი მარიამისი და ძმაჲ კლეოპასი. კლეოპა შვა
   
 ნაომ. ნაომ შვა სალა. სალა შვა რობუამ. რობუამ შვა
   
 მოხთარ. მოხთარ შვა ელიაკიმ. ელიაკიმ შვა ბენიამენ.
   
 ბენიამენ შვა იერობემ. იერობემ შვა მოსე. მოსე შვა 25
   
 იუდა. იუდა შვა ელიაზარ. ელიაზარ შვა ლევი. ლევი
   
 შვა იორამ. იორამ შვა მანასე. | მანასე შვა იაკობ. იაკობ

Q 111 b

3 მათუსალაჲ Q. 4 ნოე შვაჲ Q. 5 ებარა m. 6 ნაქორ T. ნაქურ MQm. 7 აბ-
   
 რაჰამ Q | აბრაჰ Mm. 9 ესრომ შუა M. 9 არამ. არამ შუა RP]—MQm. 10 ნასონ...
   
 იობედ RP] MQm. 11 იესე შუა M. 12 სოლომონ m. 14 იოსაპატო m. 15 (იოთამ)
   
 შვა]—M. 21 მატათან m. 22 და ძმაჲ კლეოპასი T] ძმა (ძმაჲ Q) იოსებისი (იოსებ-
   
 ისა Q) კლეოპა MQm. 25 იერობემ T] რობემ MQm. 26 ლეუ m. 27 იორამ T]
   
 თარომ MQm.



შვა მიქია. მიქია შვა იოვაკიმ. იოვაკიმ შვა იერუბემ  
 იერუბემ შვა აბრაჰამ. აბრაჰამ შვა იობ. იობ შვა აქაბ.  
 აქაბ შვა სუმონ. სუმონ შვა იზაქარ. იზაქარ შვა აბია.  
 აბია შვა გაად. გაად შვა ასერ. ასერ შვა ისაკ. ისაკ შვა  
 დან. დან შვა სოლომონ. სოლომონ შვა შვდნი ძმანი, 5  
 რომელნი-იგი მოსცნა ღმერთმან ტყუეობასა შინა.

M 569

და ესენი შვდნი ძმან, | ძენი ამის სოლომონისნი,  
 წარმოვიდეს ქუეყანით ფილისტიმით, ტყუეობით წარმო-  
 სულნი ჰურიანი და მოიწინეს ეკლეს<sup>2</sup> წინაშე რაქაელ  
 დედოფლისაჲ<sup>3</sup> და მისგან ნათელ იღეს. და დაშთეს 10  
 იგინი ქუეყანათა სომხითისათა და მუნ დღეინდელად  
 დღედმდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს.

და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერ-  
 თი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და  
 ესე ქართლისა ბაგრატიონიან[ნი]<sup>4</sup> შვილისშვილნი და ნა- 15  
 თესავნი არიან მის გუარამისნი. ხოლო ძმად მისი, სახე-  
 ლით საპაკ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს.  
 და სხუანი ორნი იგი ძმანი ამათნი, სახელით ასამ და  
 ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს, და მოკლეს მათ სპარს-  
 თა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი 20  
 მუნ ცხორებად ხორნაბუჯს. და ამა ჟამამდე შვილნი  
 მათნი მთავრობენ მას შინა.

ხოლო ვინათგან მოაკლდა მეფობაჲ შვილთა გორგას-  
 ლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლებაჲ ქართლისა აზნა- 25  
 ურთა ვიდრე ამათადმდე. არამედ დაესრულა უფლებაჲ  
 ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან. მას  
 ჟამსა მცხეთას კათალიკოზი იყო სუმონ-პეტრე. და მცხე-  
 თა აღთხელდებოდა და ტფილისი აღშენდებოდა, არმაზი  
 შემციროდებოდა და კალაჲ განდიდდებოდა. და სპარსნი

1 იაკობ... მიქია შვა RPJ—MQm. იოვაკიმ Q. იერუბემ P] რობემ, რობემ MQm. 4  
 გაად, გად. Q. 7 ესე m. სოლომონისნი m. 8 წარმოვიდეს... ჰურიანი და T]—MQm.  
 9 რაქელ m. 10 დედოფლისა Mm. 13 და]—m. მათნი]—m. 14 სახელით M, სახ-  
 ლით m. გუარამ Qm. 15 ბაგრატიონიანი MQ, ბაგრატიონიანი m. 16 ძმა T] ძმა  
 MQm. 17 საპაკ T] საპკ MQm. დაემზახა Q, 18 ძმანი T] ძმა MQm. 19 ვარაზ-  
 ვარდ] ვარზვარდ MQ, ვარაზვარდ m. კანბეჩანს m. 20—21 იგინი მუნ] მუნ იგინი Q.  
 ხორნაბუჯს ხორანუჯს MQ, ხორაბუჯს m. ამა T] ამ MQm. 23 მეფობა Mm. 24 ეპ-  
 ყრაჲ Q. 25 ამათადამდე MQm. დაესრულა Q. უფლება Mm. 28 აშენდებოდა m.  
 29 კალაჲ Mm. განდიდებოდა Qm.

უფლებდეს ქართლს, კახეთს, ჰერეთს, სომხეთს, სივნი-  
ეთს, ასპურაგანს.

მას უამსა კათალიკოზი იყო მცხეთას სამოელ, და  
ერთად შეკრბა ყოველი ქართლი და გამოარჩივეს გუა-  
რამ, დავითის ნათესავისაგან, მოწვეული ძმათა მისთა 5  
თანა, ასამს და ვარაზვარდს, რომელნი იგი ზემო ვაცსე-  
ნენით. ესენი წარმოვიდეს ეკლესიით, რომელნი მონათლ-  
ნა რაქაელ დედ | ოფალმან, ძმანი შვდნი ჰურიანა,  
ტყუეობით მოსრულნი ქუეყანით | ფილისტიმით, და  
ნათელ იღეს | ეკლესს კელითა რაქაელ დედოფლისათა. 10  
რომელმან სამთა მათგანთა უცვალა სახელი: რამეთუ  
ერთსა სახელ სდვა მუშელ, და ერთსა ბაგრატ, რომელ  
არს მაჟა ბაგრატიონინთა, ერთსა აბგავარ; ერთი შე-  
მოიყვანა სიძედ და ორნი მათგანნი ამზახნა სომხეთის  
მეფეთა. 15

ხოლო ოთხნი ესე ძმანი წარმოემართნეს ქართლს,  
ვითა ზემო ვაცსენეთ, და გუარამ განაჩინეს ერისთავად  
და მოსცა ამას მეფემან ბერძენთამან პატივად კურატპა-  
ლატობაჲ<sup>5</sup> და წარმოგზავნა მცხეთას. და ამან დადვა  
საფუძველი ჯუარისა ეკლესიაჲსა, რომელ არს მცხეთას. 20

ხოლო სამნი ესე ძმანი წარვიდეს კახეთს. და საჰაკ  
დაემზახნა ბაქურის ძესა ნერსეს<sup>6</sup>. და ასამ და ვარაზ-  
ვარდ წარვიდეს კამბეჩანს, და გარდაუქციეს ერი ვეზანს,  
ერისთავსა ბაპარ ჩუბინისსა, და ვეზან მოკლეს<sup>7</sup> და  
დაიპყრეს მათ კამბეჩანი<sup>8</sup>. 25

და იყო მას უამსა მცხეთას კათალიკოზი სამოელ. და  
ამის-ზე ტფილისისა მკვდრთა ეკლესიისა გებად იწყეს,

1 სივნიეთს] სივნიეთს Mm, სივნიეთს Q, სივნიეთს T, სივნიეთს მოქც. ქართლ-  
2 ასპურაგანს] ასპორანგს MQ, ასპორაგანს m, ასპურანგს T, გუასპურანგს მოქც.  
ქართლ. 5—6 შეკრებაჲ Q. 4 გამოარჩიეს Mm. გუარამ m. 5 მოწვეული m.  
6 ოსამს Mm. ვარაზვარდს MQ. 7 ესე Mm. 7—8 მონათანი Mm, რაქაელ m.  
8 [შვდნი]—Mm. 11 უცვალა Q. 12 მუშელ T] მოშალე MQm. 13 მამა Mm.  
ბაგრატიონინთა Q, ბაგრატიონთა m. აბგავარ]+სახელ Q. 14 ამზახნა] ამზახა Mm,  
ამზახან Q. 18 ზემოთ] ზემო Mm, ზემოთა M. გუარამ m. 19—20 კურატპლატობა M,  
კურადპლატობა m. და წარმოგზავნა მცხეთას T]—MQm. 20 ეკლესიასა<sup>5</sup> Mm. 21 სა-  
მი Mm. საჰაკ M, საჰკო. 22 ბაქურის ძესა ნერსეს რ. კიკნაძე] ბაქურს ძესა ნერსესსა  
MQTm. 22 ასამ T] უსამ MQm. და T]—MQm. ვარაზვარდ T] ვარაზვარად MQ,  
ვარაზვარად m. 24 კამბეჩანს M, კამბეჩოვანს m. 24—25 ვეზანს m. ერისთავსა T]  
ერისთავი MQm. ბაპარ ჩუბინისსა და ვეზან მოკლეს T]—MQm. 27 ეკლესიისა m.



რომლისა ნახევარსა ყოველი ერი აშენებდა, და ნახევარსა ერთი ვინმე დედაკაცი.

და კათალიკოზი იყო მცხეთას ბართლომე.

და შემდგომად ამის გუარამისსა ერისთაობდა ძე მისი სტეფანოზ და ძმაჲ დემეტრესი. და აშენებდეს ეკლესიასა ჭუარის[ასა]<sup>9</sup> მცხეთას.

